ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 72
(11 938)

16 – 19 სექტემბერი, 2005 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ედუარდ სტრელცოვი საბჭოთა სასამართლოს წინაშე 3



საბოლოოდ ფარდა აეხადა სასამართლოს არქივებში დამტვერილ „სტრელცოვის საქმეს", რომელიც მანამდე ყველასათვის მიუწვდომელი იყო, დადგინდა სიმართლე და ჭეშმარიტება.

ედუარდ სტრელცოვი, მიხეილ მესხი და სლავა მეტრეველი მსოფლიო ფეხბურთის სუპერვარსკვლავები იყვნენ და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისინი ფეხბურთის ისტორიაში უძლიერესი და განუმეორებელი სამეულის სახელით შევიდოდნენ, რომ არა ბედის ირონია.

## შეგახსენებთ!..

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ერთ-ერთ თავის გამოსვლაში თქვა:

**... „ჩვენ გვჭირდება დაახლოებით ორი ათასი ხელფასიანი, კარგი ანაზღაურების მქონე მწვრთნელი. მინიმალური ხელფასი 250 ლარი უნდა იყოს, თუმცა, ზოგს ბევრად მეტი უნდა მისცე".**

პრეზიდენტმა ბრძანა. რა კეთდება პრაქტიკულად?

## მილოცვები

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი და ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან საიუბილეო თარიღს ულოცავენ მსოფლიოში პირველ საერთაშორისო კატეგორიის მსაჯ ქალბატონს თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, ქართული სპორტის ღირსეულ წარმომადგენელს, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ვეტერან თანამშრომელს, **ლარისა ბერიევას.**

X X X

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია დაბადებიდან საიუბილეო თარიღს ულოცავს ამავე აკადემიის ღვაწლმოსილ თანამშრომელს, მსოფლიოში პირველ საერთაშორისო კატეგორიის მსაჯ ქალს ჭიდაობაში **ლარისა ბერიევას.**

X X X

„ლელო" უერთდება ამ მილოცვებს.

## სამბოს წარმატებები კანონზომიერებად იქცა

მოსკოვიდან დაბრუნებულმა სამბოს ფედერაციის წარმომადგენლებმა 15 სექტემბერს სპორტის დეპარტამენტში პრესკონფერენცია გამართეს, თავად ფედერაციის პრეზიდენტი **ბადრი ბიწაძე,** ჩეხეთში სამუშაო ვიზიტით გამგზავრებულა და არ ესწრებოდა ამ შეხვედრას. პრესკონფერენციას ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ოლეგ იაძე** წაუძღვა. როგორც მან გვითხრა, მოსკოვში, ასმახანოვის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე მონაწილეობა 18 ქვეყანას მიუღია, მათ შორის, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს. სულ 220 სპორტსმენი გამოსულა საასპარეზოდ. ჩვენმა სამბისტებმა არც ამჯერად გააწბილეს გულშემატკივრები და შინ ოქროს ერთი, ვერცხლის ორი და ბრინჯაოს სამი მედლით დაბრუნდნენ.

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დადგომის უფლება წილად ხვდა, ცნობილ ფალავანს, თბილისელ **მინდია ბოდაველს** (90 კგ), მეორე ადგილზე გავიდნენ ხაშურელი **გელა ბარათაშვილი** (57) და სახელოვანი რუსთაველი მოჭიდავე **ზვიად ჩინჩალაძე** (მძიმე), ბრინჯაოს მედალოსნები გახდნენ საგარაჯოელი უშანგი კუზანაშვილი (52), გორელი ნიკოლოზ ბიბილაშვილი (82) და მცხეთელი მირიან პავლიაშვილი (100).



ფოტო რ. ბაგოიანისა

მედალოსნები

„გამარჯვებულმა მინდია ბოდაველმა შესანიშნავად იასპარეზა და შარშანდელ ევროპის ჩემპიონს, უკრაინელ **რუსლან ზადვორნს,** რუსეთელ მსოფლიო ჩემპიონს **პავლე შკაპოვს** და ასევე რუს, მსოფლიო ორგზის ჩემპიონს — **ასლან უნარშხატროვს** მოუგო" — თქვა ოლეგ იაძემ.

რაც შეეხება ფედერაციის სამომავლო გეგმებს, 10 ოქტომბერს ჭაბუკთა და ახალგაზრდა ნაკრები გუნდი მიემგზავრება საბერძნეთის ქალაქ სალონიკში, მსოფლიო პირველობაზე. საბერძნეთიდან დაბრუნების შემდეგ, 12-16 ნოემბერს, ჩვენი ეროვნული ნაკრები ყაზახეთის ქალაქ ასტანაში მსოფლიო ჩემპიონატში იასპარეზებს.

ელენე კეჩხოშვილი.

## ედიშერ მაჩაიძე კვლავ რჩეულთა შორისაა

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია (ფილა) ყოველწლიურად ატარებს მსაჯთა ატესტაციას კონტინენტებიდან წარმოდგენილ მსაჯთაგან საუკეთესოთა შესარჩევად. ახლახან შერჩევაში, რომელიც ალბანეთში გაიმართა სემინარებისა და პრაქტიკული მსაჯობის შეფასების შემდეგ, ფილა-ს რჩეულთა შორის საქართველოს ოთხი წარმომადგენლიდან აღიარება კიდევ ერთხელ მოიპოვა ფილა-ს სტაჟიანმა არბიტრმა ედიშერ მაჩაიძემ. თანაბარ საკონკურსო პირობებში ევროპიდან ყველაზე მეტმა (41) დაიმსახურა ფილა-ს არბიტრობა, აზიას 18 მსაჯი ჰყავს, ამერიკის კონტინენტს – 11, აფრიკას – 7.

ახალი შერჩევით ლიცენზირებული ფილა-ს მსაჯები პირველ უახლოეს ასპარეზობას გამართავენ 24-28 სექტემბერს თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ბუდაპეშტში, როგორც უკვე ითქვა, ამ ჩემპიონატს საქართველოდან ევროპელთა შორის ედიშერ მაჩაიძეც მოემსახურება.

## ფალავნები ლიკანში...



საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ეროვნული ნაკრები გუნდები, სამ-სამი შემადგენლობით, როგორც გუშინ ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ომზარ შოშიტაშვილმა** გვაცნობა, ბორჯომში, კერძოდ, ლიკანში გაივლიან ორკვირიან შეკრებას. ეს იქნება გადამწყვეტი შეკრება მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, რის შემდეგ დადგინდება ნაკრების სრული შემადგენლობა. ერთი ფალავნის საკითხი ამჟამად გარკვეულია — **რამაზ ნოზაძე** ტრავმის გამო არ იქნება „კლასიკოსთა" ნაკრებში. ის მხოლოდ ოქტომბრიდან შეუდგება დოზირებულ ვარჯიშს.

თავისუფლები შეკრებას მთავარი მწვრთნელის **ზაზა თურმანიძის** ხელმძღვანელობით გაივლიან. მთავარ მწვრთნელს დაეხმარებიან მწვრთნელ-კონსულტანტი **გურამ სალარაძე** და მწვრთნელი **დავით ხურცია.** ბერძნულ-რომაელთა თავკაცი **ბეგი დარჩია** ნაკრებს **ჯონი რეხვიაშვილთან, ოთარ ტატიშვილთან** და **ვლადიმერ ადეიშვილთან** ერთად მოამზადებს.

ცოტნე ბაქრაძე.

## რაგბი განახლდა...



14 სექტემბერს დაიწყო საქართველოს ჩემპიონატი რაგბში უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის. I ტურში, ვაკეში „ლოკომოტივმა" უმასპინძლა „ყოჩებს". რაგბში ჩახედულმა ადამიანებმა ამ მატჩამდეც კარგად იცოდნენ, რომ „ყოჩებს", მქუხარე სახელის მიუხედავად, ქვეყნის ექს-ჩემპიონთან და თასის მფლობელთან თამაში ძალიან გაუჭირდებოდა. ასეც მოხდა. რკინიგზელებმა იოლად და დიდი ანგარიშით სძლიეს მეტოქეს — 45:5.

მეორე შეხვედრა გაიმართა ვარკეთილში, სადაც „აკადემია" და „ხულიგანა" დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ „აკადემია" რამდენიმე წამყვანმა მორაგბემ დატოვა. გუნდის ახალ ბირთვს თავი არ დაუზოგავს, მაგრამ ცოტაც არ გაუმართლათ და დამარცხდნენ 18:24.

მომდევნო ტური გაიმართება 19 სექტემბერს, „ხულიგანა" „ლოკომოტივს" ეთამაშება. „ყოჩები" კი „ლელოს" უმასპინძლებს.

**I ლიგა:** „ელიტი" — „აია" 19:45; „თელაველები" — „არმაზი" 11:43..

## ბრინჯაოს ოთხი მედალი მსოფლიოს ჩემპიონატის წინ



გუშინ, მაჰაჭყალიდან თბილისში დაბრუნდა საქართველოს მოკრივეთა ეროვნული ნაკრები, რომელიც დაღესტნის დედაქალაქში უმაღლესი A კატეგორიის ტურნირში მონაწილეობდა 15 ქვეყნის ეროვნულ ნაკრებებთან ერთად. ისევე, როგორც ჩვენთვის, ეს ტურნირი, შესაძლებელია, სხვებისთვისაც ძალების ბოლო შემოწმება იყო მსოფლიო ჩემპიონატის წინ. ჩემპიონატი ჩინეთში გაიმართება 11-22 ნოემბერს.

მაჰაჭყალაში ჩვენმა მოკრივეებმა ურთულეს ორთაბრძოლებში ბრინჯაოს ოთხი მედლის მოპოვება შეძლეს. ისინი არიან რუსთაველი **ზვიად ხადური** (48 კგ), ფოთელი **ნიკოლოზ იზორია** (54), ქუთაისელი **კობა ფხაკაძე** (57), თბილისელი **კონსტანტინე კუპატაძე** (60). ფედერაცია და მთავარი მწვრთნელი **თენგიზ მესხაძე** მსოფლიო ჩემპიონატამდე ერთ შეკრებას გეგმავენ რუსეთში ან უკრაინაში ამ ქვეყნების ეროვნულ ნაკრებთან ერთად. თუ ეს შეუძლებელი გახდა, მაშინ ჩვენი ეროვნული ნაკრები ბოლო 21-დღიან შეკრებას, ჩინეთში გამგზავრების წინ, გაივლის ვარიანში.

## განცხადება

**დღეს, 14 საათზე სპორტის დეპარტამენტის დარბაზში გაიმართება მაგიდის ჩოგბურთის ყრილობა.**

## კოკაი სექტემბრის ბაშოზე

**რჩეულმა პროფესიონალმა სუმოს ოსტატებმა სექტემბრის ბაშოზე დაიწყეს ურთიერთობების გარკვევა. ლევან ცაგურიამ, რომელსაც პროფესიული სუმოს სამყარო კოკაის სახელით იცნობს, პირველი ოთხი შეხვედრა პირნათლად წააგო. გუშინ, მეხუთე პაექრობაში, კოკაის მეტოქე იყო კოტომიცუკი, რომელიც რანგით აღემატება ჩვენებურს და ადრინდელი შეხვედრების შეფარდებაში იაპონელი წინ იყო 7:2. კოკაიმ ამჯერადაც ვერ შეძლო გამარჯვება, მეხუთე ტურიც წააგო და კოტომუცუკთან უარყოფითი ბალანსიც უფრო გააღრმავა.**

**დღეს კოკაის მეტოქე კიოკუტენხო იქნება.**

## გაზეთის დაბეჭდვამდე:

## გუშინ, უეფას თასზე:

კრილია სოვეტოვი – ალკმაარი 5-3
(ერთი გოლი არველაძემ გაიტანა)
შტუტგარტი – დომჟალე 2-0
ცსკა (რუს) – მიდტიულანდი 3-1
ზენიტი – აეკი 0-0
შახტარი – დებრეცენი 4-1
სეტუბალი – სამპდორია 1-1

## შევინარჩუნოთ ქართული ძიუდოს რწმენა

დახედეთ სურათს, საქართველოს ძიუდოისტთა მთავარ მწვრთნელს **შოთა ხაბარელს** პრესკონფერენციაზე, რომელიც ჩვენი ნაკრების ქაიროდან დაბრუნების შემდეგ გაიმართა, გვერდით ერთადერთი სპორტსმენი **ლაშა გუჯეჯიანი** უზის, რომელმაც მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა მსოფლიო ჩემპიონატზე. უმიზეზოდ არაფერი ხდება და სწორედ ამ მიზეზებზე ილაპარაკა პრესკონფერენციაზე შ. ხაბარელმა, სხვათა შორის, ილაპარაკა დაუფარავად, ალბათ, ზოგიერთი ნაკრების წევრისთვის, მტკივნეულადაც. მტკივნეულად იმიტომ, რომ ხაზი გაუსვა ჩემპიონატზე მათ მიუტევებელ შეცდომებს, სწორედ ამ შეცდომებმა ჩამოაშორეს კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზას ჩვენი ფალავნები. ამასთან, მან კატეგორიულად უარყო მავანის დილეტანტური შეფასება თითქოს **ნესტორ ხერგიანმა** არ იცის ჭიდაობა.

„ეს როგორ, ხერგიანი ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი მოჭიდავეა, მისგან ყოველთვის შეიძლება ელოდო მედალს. რა ვქნათ, ჩამოვწეროთ? ის მომავალ ოლიმპიადაზეც იჭიდავებს". თქვა შ. ხაბარელმა. არც ზვიადაურის მისამართით გამოთქმული შენიშვნები დაუტოვებია უყურადღებოდ მთავარ მწვრთნელს. ძიუდოში ხშირად ყველაფერი წამიერად წყდება. სწორედ ასე მოულოდნელად წაუგია ზვიადაურს პრინციპული შეხვედრა.

როგორც პრესკონფერენციაზე გაირკვა, ნაკრებში მიდის ძიების პროცესი. მოდიან ახალგაზრდები, მაგრამ არც იმის დაყენება შეიძლება, რომ ზვიადაური, რომელიც ჯერ თავადაა ახალგაზრდა, აუცილებლად უნდა შეიცვალოს ნაკრებში. ითქვა და სწორიცაა, აბა წარმოიდგინეთ, არ შეეყვანათ ნაკრებში ზვიადაური და იმ ფონზე, რა შედეგითაც დასრულდა პირადი შეხვედრები, რა რეაქცია იქნებოდა საზოგადოებაში.

შ. ხაბარელს თავის მართლება არ უცდია. არც ის უთქვამს, რომ ჩემპიონატის სიძლიერემ თავისი გაიტანა. პირიქით. მისი თქმით, ასეთი სუსტი ჩემპიონატი მას არ ახსოვს. წინსვლის ნაცვლად უკუსვლაა. მიზეზიც ახსნა: ახლა ყველა ძიების პროცესშია, რაც ჩვეულებრივი ამბავია ოლიმპიადების შემდეგ.



ჩვენთვის კვლავ რჩება უმაღლესი კატეგორიის მსაჯების არყოლა, რაც სხვა ქვეყნების არბიტრებს შესაძლებლობას აძლევს ზეწოლა მოახდინონ უმსაჯო, თანაც ძლიერი მოჭიდავეებით წარმოდგენილ ქვეყნებზე. გამონაკლისი არც ქაიროში გამართული მსოფლიო ჩემპიონატი ყოფილა.

საქართველოში, ძიუდოსთვის ერთი შთაბეჭდილებით, თუნდაც ეს უკიდურესად უარყოფითი იყოს, განაჩენის გამოტანის უფლება არავის აქვს. აჩქარებას არასდროს მოუტანია სიკეთე. რატომ გვავიწყდება, რომ იგივე სპორტსმენები ქაიროში გუნდური პირველობის მესამე პრიზიორები გახდნენ. კორეისა და იაპონიის შემდეგ, ანუ მხოლოდ მათ შეძლეს დაეცვათ არა მხოლოდ ქართული, არამედ ევროპის ძიუდოს ღირსება. ეს სულაც არ არის უმნიშვნელო ფაქტი. აი, რა გვისახავს მომავლის იმედს...

მიმომხილველი.

ფოტო რობერტ ბაგოიანისა.

# დაუბრუნეთ ბაზები სპორტის აკადემიას...

სტუდენტობა დიდი ძალაა არა მხოლოდ საერთო-საქვეყნო, არამედ თვით იმ სასწავლებლებში პრობლემების მოსაგვარებლად, სადაც ისინი სპეციალურ განათლებას იღებენ.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში გადაუჭრელ შიდა პრობლემად კარგა ხანია იმ სპორტული ბაზების და ობიექტების მოუგვარებლობა ითვლება, რომელიც აკადემიას ეკუთვნის და, ფაქტობრივად, სრულფასოვანი სასწავლო-სპორტული პროცესის წარმართვა უნდა უზრუნველყოს. გაურკვეველია ვინ და რა უფლებით გაასხვისა ეს ობიექტები, როგორც თბილისში, თვით აკადემიის არეალში, ისე ბაკურიანში, სადაც 1275 კვ მეტრი ფართობიდან მხოლოდ 247 კვმ დარჩა აკადემიას, რაც, ფაქტობრივად, შეკრებების, სემინარების და სასწავლო პროცესის ჩაშლას ნიშნავს.

პრესკონფერენციაზე, რომელიც აკადემიაში სტუდენტთა თაოსნობით მოეწყო, ზემოხსენებულ პრობლემებზე ილაპარაკა სტუდენტთა და ასპირანტთა საბჭოს თავმჯდომარემ მამუკა მაღლაკელიძემ. ილაპარაკა მწვავედ, მაგრამ მთავარ დამნაშავეთა დაუსახელებლად. იგი მიიჩნევს, რომ ამჯერად ეს უნდა ჩაითვალოს როგორც გამაფრთხილებელი აქცია, შემდეგ კი ყველა მოძალადე პერსონალურად დასახელდება.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მსჯელობამ აკადემიის ჩოგბურთის კორტების გასხვისებასთან დაკავშირებით, აკადემიას ადრე საოლქო სასამართლოში შეუტანია სარჩელი. მოიგეს კიდეც პროცესი, მაგრამ მეორე მხარემ უზენაესში დაიბრუნა კორტებზე პატრონობის უფლება. მერე მეორედ, შარშანდელ განმეორებით სარჩელში სცნო საოლქო სასამართლომ კორტებზე აკადემიის კანონიერება და მოპასუხემ განაჩენი ისევ უზენაესში გაასაჩივრა.

პრესკონფერენციას აკადემიის თანამშრომლებიც ესწრებოდნენ. ისინი კმაყოფილნი ჩანდნენ, რომ სტუდენტებმა „ხმა ამოიღეს" და ბრძოლა წამოიწყეს თავიანთი უფლებების დასაცავად. მათი აქტივობა მოიწონა რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა.

ითქვა ისიც, რომ აკადემიის უკან, თამარაშვილის ქუჩის მხრიდან, აკადემიის კუთვნილ ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობა წამოიწყეს და საფრთხეს უქმნის აკადემიის საფეხბურთო მოედანს. აკადემიის საერთო საცხოვრებელი უკავია სხვადასხვა ფირმებს, საიჯარო გადასახადს კი ვინ იღებს, გაურკვეველია. ყოველ შემთხვევაში აკადემიაში არაფერი შედის.

საერთოდ, გაუგებარია, როგორ ხდება ასე ხელაღებით აკადემიის კუთვნილი ქონების გასხვისება, მაშინ, როცა სასწავლო დაწესებულებების ობიექტების პრივატიზება კანონით კატეგორიულად იკრძალება.

წლეულს, გაზაფხულზე, სპორტის აკადემიას ეწვია საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც კატეგორიულად მოითხოვა აკადემიას დაუბრუნონ მისი კუთვნილი სპორტული ბაზები.

დრო გადის. ვითარება უცვლელი რჩება. ახლა ჯერი აკადემიის სტუდენტებზე მიდგა. მათი ერთსულოვნება იძლევა იმის იმედს და მტკიცე რწმენას, რომ აკადემია უთუოდ დაიბრუნებს თავის ბაზებს და დამხმარე ობიექტებს.

# წყალზე თხილამურებით...



„ლელოს" 2005 წლის 58-ე ნომერში მკითხველი გაეცნო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბავშვთა-მოზარდთა წყალსათხილამურო სპეციალიზებული ცენტრალური სასპორტო სკოლის მიერ საზაფხულო არდადეგების პერიოდში ორგანიზებული სპორტული ღონისძიებების პირველი ეტაპის მოკლე მიმოხილვას.

მეორე ეტაპი ჩატარდა 8-21 აგვისტოს და ამჯერადაც მასპინძელი ფოთის წყალსათხილამურო სპორტული კომპლექსი იყო. სასწავლო-გამაჯანსაღებელი შეკრების პერიოდში ნორჩი წყალმოთხილამურეები სპორტულ წვრთნასთან ერთად, ზღვაზე იკაჟებდნენ ჯანმრთელობას, ამასთან, მოეწყო ექსკურსია საზღვაო ნავსადგურში. შეკრების ბოლოს კი სკოლის ღია პირველობა.

პირველობის სამახსოვრო მოვლენად უნდა მივიჩნიოთ თბილისის №164 საშუალო სკოლის (მწვრთნელ-მასწავლებელი **ნ. ქინქლაძე**, დირ. დ. ბერია) მოსწავლეთა ცალკე გუნდად ასპარეზობა. შეჯიბრებამ დაგვანახვა, რომ საგრძნობლად ამაღლდა საერთო სპორტული მაჩვენებლები და სპორტის ამ სახეობისადმი მოზარდთა ინტერესი.

პირველობა გახსნა დებიუტანტმა წყალმოთხილამურემ, თბილისელმა **მარი ხარაძემ.**

**გოგონათა ფიგურულ სრიალში** საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. **მაგდა გაგუა, 2. ქეთევან ლიფონავა, 3. თათია გაბისონია** (სამივე — განათლების სამინისტროს სასპორტო სკოლა).

ჭაბუკებში პირველი იყო **კონსტანტინე გეგეშიძე,** მეორე — **გიორგი გიორგობიანი,** მესამე — **ლაშა წერეთელი** (სამივე — განათლების სამინისტრო).

**სლალომი. გოგონები: 1. მაგდა გაგუა, 2. ქეთევან ლიფონავა, 3. ქრისტინე შალამბერიძე** (განათლების სამინისტრო).

როგორც წინა პირველობაში, ამჯერადაც საინტერესოდ წარიმართა ფინალური პაექრობა ჭაბუკთა სლალომში. აქ პირველი ადგილი არავის დაუთმო ფოთის ნაკრები გუნდის წარმომადგენელმა **ბექა ნაჭყებიამ,** ხოლო საპრიზო ადგილები კი გამოვლინდა დამატებითი შეჯიბრებით. ხუთმა მონაწილემ ერთნაირი შედეგი აჩვენა, როგორც კატარღის საწყისი 42 კმ/სთ სიჩქარიდან, ისე ზღვრული 50 კმ/სთ სიჩქარის პირობებში და მსაჯთა კოლეგიამ ორჩ მონაწილეთა უსაფრთხოების მიზნით (მსაჯთა კოლეგიას არ აქვს უფლება ამ ასაკში მეტად გაზარდოს სიჩქარე) შეწყვიტა პაექრობა და დააფიქსირა საბოლოო შედეგი: მეორე პრიზიორი გახდა **გიორგი გიორგობიანი,** მესამე ადგილი კი გაიყვეს **ლაშა წერეთელმა** და **ზურაბ პაპაჩაშვილმა** (განათლების სამინისტრო).

ამ ღონისძიებებით დასრულდა და შეჯამდა საზაფხულო არდადეგების პერიოდში მოსწავლეთა აქტიური დასვენების და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებებში მონაწილეობა. მადლობას იმსახურებენ მწვრთნელ-მასწავლებლები: **გიორგი სურგულაძე, მალხაზ გორდულაძე, რომან ჩაჩიბაია, კახა ქაჯაია, ანა ლიფონავა** და ფსიქოლოგი **ლალი ქინქლაძე.**

კარს მოგვადგა ახალი სასწავლო წელი.

**ვალერი კუპრეიშვილი,**
**სასპორტო სკოლის დირექტორი, პირველობის მთავარი მსაჯი.**

# დოლი ვაკაობაზე

წლეულს, ვაკაობის ტრადიციული დღესასწაული, დათქმულ დღეს ვერ ჩატარდა. იმ დროს თავჩენილი პრობლემების გამო ეს სახალხო ზეიმი გადაიდო და სექტემბრის პირველი დეკადის ბოლოს გაიმართა. როგორც ყოველთვის დღესასწაულს უამრავი ხალხი დაესწრო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ტრადიციისამებრ ღონისძიების პროგრამაში შედიოდა დოლი, რომელმაც მნახველთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

**შეკითხვა „ლელოს"**

**შეკითხვა:** კარსაა მომდგარი ახალი სასწავლო წელი. გთხოვთ გვიპასუხოთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახალი სასწავლო წელი ფიზიკური აღზრდის ახალი პროგრამით დაიწყება თუ ისევ ძველი სასწავლო პროგრამით ვიხელმძღვანელებთ?

**კოტე ნიკოლეიშვილი,** თბილისი

**პასუხი:** როგორც დავაზუსტეთ, ფიზიკური აღზრდის ახალი სასკოლო პროგრამა დამუშავება — დახვეწის პროცესშია. ვინაიდან იგი ჯერ სრულყოფილად არაა ჩამოყალიბებული, სასწავლო წელი ძველი პროგრამით განახლდება, ახლის ჩანაცვლება კი მოხდება მოგვიანებით.

# 60 წელი სპორტში! ამით ყველაფერი ითქვა

**გივი ყირმელაშვილი – 80**

ბატონ გივის ძალიან ახლოს რომ არ ვიცნობდე, შეიძლება არც დაიჯერო, ნუთუ ამ ასაკშიც შეიძლება შეინარჩუნო ახალგაზრდული შემართება, მაღალი შრომისნაყოფიერება, სალი გონება და მუდმივად ახალის ძიების მოთხოვნილება.

გივი ყირმელაშვილის მინი დოსიე: დაიბადა 1925 წლის 18 სექტემბერს ქ. თბილისში. 1943 წელს, თბილისის 29-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე, 17 წლისა მოხალისედ წავიდა ფრონტზე. მოხვდა სასაზღვრო ნაწილში. ომის უმძიმეს წლებში, როდესაც გერმანიის ჯარი საქართველოს მიუახლოვდა, სამანევრო — სადაზვერვო დანაყოფის მებრძოლი იცავდა საქართველოს საზღვარს.

ომის შემდეგ წარმატებით უთავსებდა შრომას, სწავლასა და სპორტს. უმოკლეს დროში გახდა საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი, საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდის წევრი. სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" მრავალგზის ჩემპიონი.

შემდეგ მწვრთნელის საპატიო შრომა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

არც მსაჯობაში შეურცხვენია თავი და მიენიჭა საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება.

სხვადასხვა დროს მუშაობდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტში ფაკულტეტის დეკანად, უცხო ენათა ინსტიტუტის კათედრის გამგედ, თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ, რესპუბლიკის სპორტკომიტეტის განყოფილების გამგედ, სპორტის სასახლის დირექტორად, ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორად, კლასიკური და ტრადიციული მედიცინის აკადემიის პრორექტორად. ამავე დროს სპორტის აკადემიასთან კავშირი არ გაუწყვეტია სადაც დღემდე მუშაობს. ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა სპორტის ნებისმიერ სფეროში, რაც დაუფასდა კიდეც, მიენიჭა სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება.

უაღრესად წარმატებული იყო მისი 10 წლიანი მოღვაწეობა თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ.

თბილისი მაღალი სპორტული მაჩვენებლებით და სპორტის მასობრიობის მხრივ, საბჭოთა კავშირის ქალაქებს შორის გამართულ შეჯიბრებაში მესამე ადგილზე გამოდიოდა.

თბილისის სპორტკომიტეტის დაქვემდებარებაში იყო დედაქალაქის 20-მდე ერთმანეთზე უკეთესი სპორტული ნაგებობები. სპორტის სასახლიდან დაწყებული დღევანდელი „ლაგუნა ვერეთი", თბილისის ზღვაზე სანიჩბოსნო და საიალქნო ბაზებით, კუსტბა მთლიანად და სხვა ნაგებობებით.



იმ პერიოდში გაიხსნა 400-მ. ეზოს სპორტული მოედანი და ცნობილი სპორტსმენთა სახელობითი 14 კლუბი. სისტემატურად ეწყობოდა მასობრივი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები.

ბატონ გივის უშუალო ხელმძღვანელობით ტარდებოდა მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაციები და მასობრივი ღონისძიებები.

ბატონი გივი იყო თბილისის საქალაქო საბჭოს ალმასკომის (დღევანდელი მერია და საკრებულო) სამი მოწვევის დეპუტატი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

შრომით საზოგადოებრივ საქმიანობას წარმატებით უთავსებდა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. ავტორია 32 სამეცნიერო ნაშრომის, 5 წიგნის და 2 გამოგონების, რისთვისაც მიენიჭა დოცენტის სამეცნიერო წოდება.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ბატონი გივის ბოლო წლების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაც.

ჯერ იყო და დახვეწა-დაამუშავა პირველადი ექიმამდელი სამედიცინო დახმარების სწავლების კომპიუტერული სისტემა. შეიმუშავა მოზარდების ფიზიკური განვითარების კომპიუტერული დიაგნოსტიკა. 2001 წელს, ევროპის კონფედერაციის „სპორტი და ჯანმრთელობა" საერთაშორისო კონკურსში , მის პროექტს „სპორტი ყველასათვის" პირველი პრემია მიეკუთვნა. 2003 წელს ჯანდაცვის ევროსაბჭოს საერთაშორისო კონკურსში, მისმა პროექტმა „მოზარდების ფიზიკური განვითარების დიაგნოსტიკა და მკურნალობა" გაიმარჯვა.

2005 წელს ასევე წარმატებული იყო მისი მონაწილეობა „საქართველოს გაეროს ასოციაციის" სეოკ-ის ეგიდით ჩატარებულ კონკურსში „ვაშენოთ მომავალი". როგორც ჟურნალისტი 1952 წლიდან სისტემატიურად იბეჭდება ჩვენი ქვეყნის და უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებში. არის საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციისა და საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.

უხუცესმა ჟურნალისტმა ტოლი არ დაუდო ახალგაზრდებს და საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის, სპორტულ ჟურნალისტთა 2003 წლის კონკურსში ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა. ვინ დათვლის ათეული წლების განმავლობაში რამდენი სახელოვანი სპორტსმენი და სპორტის მაღალკვალიფიციური მოღვაწე აღუზრდია.

ბატონი გივი დღესაც მისთვის ჩვეული გულმოდგინებით სპორტის აკადემიის 5 ფაკულტეტის სტუდენტებს, ქართულ, რუსულ და თურქულ სექტორზე ასწავლის სპორტის ეკონომიკისა და კაცური კაცობის ანბანს.

ვუსურვებთ ბატონ გივის ჯანმრთელობას, ხანგრძლივ შემოქმედებით და ნაყოფიერ საქმიანობას ქართული სპორტისა და ერის სასიკეთოდ.

**გურამ ძაგანია, პროფესორი.**

# მეთერთმეტე...

*ქართული სპორტის ისტორიას სპორტსმენები, მწვრთნელები, სპორტის უჩინარი მსახურნი და ამ სფეროს თავკაცები ერთობლივად წერენ. „ლელო" კი 1934 წლიდან აფიქსირებს ამ ისტორიას. ასე იქნება მომავალშიც.*

*ამჯერად გამოსაცემად მზადდება წიგნი „მეთერთმეტე"... რომლის ცალკეული თავების გამოქვეყნებას „ლელოში" ვაგრძელებთ.*

## საუკუნის რჩეულნი

რჩებოდა შთაბეჭდილება, თითქოს, ახალი ასწლეულის დასაწყისში, ქართულ სპორტში დრო შეჩერდა. უმწირეს დაფინანსებაზე უკვე ითქვა. მაგრამ ქართული სპორტის ჟამთასვლას მტკივნეულად აფერხებდა აგრეთვე სპორტული ბაზების გასხვისების შეუნელებელი პროცესი. დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარის რანგში, ირაკლი მეძმარიაშვილმა ქვეყნის სპორტული ბაზების ნუსხას რომ გადახედა, გაოგნებული დარჩა. იმ წუთში, ალბათ, უფრო მძიმე მოეჩვენა ის ტვირთი, რომლის ზიდვა მოვლენებმა და დრომ მას რომ დააკისრა. უმძიმესი იყო რეალობა. ფაქტობრივად, დეპარტამენტს თავისი ქონება აღარ ჰქონდა. ეძერის, ლესელიძის, გაგრის უნიკალურ სპორტულ ბაზებთან დაკავშირებული პრობლემები თუ გასაგები იყო, გაუგებარი და აუხსნელი რჩებოდა თუ რატომ გამოაცალეს ასე ხელაღებით ძირითადი დასაყრდენი ქართულ სპორტს ქვეყნის სხვა რეგიონებში და უპირველესად თვით დედაქალაქში. სიტუაცია კი იმანაც დაამძიმა, რომ ბევრგან სპორტულ ობიექტებზე აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი ოჯახები ჩასახლდნენ.

წარმოდგენით ადამიანის ფანტაზიამ ყველაფერი შეიძლება წარმოიდგინოს, ფანტაზიას ხომ საზღვარი არ გააჩნია. მაგრამ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, არავის გაუჩნდებოდა იმის ფანტაზია, რომ საცურაო აუზი, რომლის დანიშნულება ადამიანის ჯანმრთელობის სამსახური და სპორტსმენთა აღზრდაა, დელფინების საასპარეზოდ ექცია. ვაკის აუზი ერთადერთი დახურული საწყლოსნო სპორტული ნაგებობაა საქართველოში. სწორედ ეს აუზი, საპრივატიზაციო პირობების უხეში დარღვევით, მეპატრონეებმა დელფინებს დაუთმეს და წყალში ათობით ტონა მარილი ჩაყარეს. გასაგებია რისთვის. წყლის სამყაროს ამ ბინადრებს ბუნებრივ პირობებში უნდა ეგრძნოთ თავი. ის კი ვეღარ გაითვალისწინეს „ნოვატორებმა", რომ მარილი დააზიანებდა წყლის ცირკალების სისტემას, თვით აუზის მოპირკეთებულ ძირს და კედლებს.

„მე დელფინების ქომაგი ვერ ვიქნები, მე სპორტის ქომაგი ვარ" — ასე გამოხატა თავის აღშფოთება ერთ პრესკონფერენციაზე ირაკლი მეძმარიაშვილმა და იმ მომენტიდან არ შეუწყვეტია განგაში მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამ საკითხს შემდეგში კვლავ დავუბრუნდებით.

2001 წლის 26 მარტს მთელი საქართველოს ყურადღება ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზისკენ იყო მიპყრობილი. ბედმა ვისაც გაუღიმა, დარბაზში იჯდა იმ საღამოს. სპორტის ასიათასობით გულშემატკივარი კი ფილარმონიაში მიმდინარე მოვლენებს თვალყურს ტელევიზიით ადევნებდა.

რაკი ახალმა საუკუნემ ის-ის იყო დაიწყო ათვლა, ირაკლი მეძმარიაშვილმა ერთ ძალიან საინტერესო წინადადებას დაუჭირა მხარი. გამოკითხვის შედეგებით უნდა გამოვლენილიყო საუკუნის ქართველი ფეხბურთელი და კიდევ სხვა რჩეულნი 19 ნომინაციაში. ღონისძიებას გამოუჩნდა სპონსორი — „მაგთი". ტელეგადაცემის ექსკლუზიური უფლება კი საქართველოს ტელევიზიის პირველ არხს მიენიჭა.

ღონისძიება ძალიან შთამბეჭდავად ჩატარდა. ქართული ფეხბურთის ამაგდარი ადამიანებისთვის XX საუკუნეს პატივი აუცილებლად უნდა მიეგო და მიაგო კიდეც. ახალ ამპლუაში ირაკლი მეძმარიაშვილმა ამით ყველას დაანახვა, რომ ღვაწლი, რაც ქვეყნის განდიდებისთვისაა გაწეული, ადრე თუ გვიან, უეჭველად დაფასდება.

ყველა, ვინც XX საუკუნის ლაურეატი გახდა (მანამდე, 1999 წლის ბოლოს ქართული სპორტის საუკუნის რჩეულნი გამოვლინდნენ), ისტორია არასდროს დაივიწყებს. მათი სახელები ყოველთვის უნდა გავიხსენოთ, რათა თაობათა მეხსიერებაში ჩარჩეს. უნდა გავიხსენოთ არა მხოლოდ, როცა ეს აუცილებელია, არამედ ყოველ შესაძლო შემთხვევაში. ახლა სწორედ ასეთი შესაძლებლობა გვეძლევა და აქვე სიამოვნებით ჩამოვთვლით გასული საუკუნის ქართული ფეხბურთის ლაურეატებს ნომინაციების მიხედვით. აი ისინიც:

**საუკეთესო ფეხბურთელი** — ბორის პაიჭაძე

**საუკეთესო მეკარე** — სერგო კოტრიკაძე

**საუკეთესო მცველი** — მურთაზ ხურცილავა

**საუკეთესო ნახევარმცველი** — დავით ყიფიანი

**საუკეთესო თავდამსხმელი** — მიხეილ მესხი

**საუკეთესო მწვრთნელი** — ნოდარ ახალკაცი

**საუკეთესო მსაჯი** — ანატოლი მილჩენკო

**საუკეთესო გუნდი** — „დინამო"-81

**საუკეთესო გოლი** — ვიტალი დარასელია (1981 წ. დიუსელდორფი).

**დიდი კაპიტანი** — ალექსანდრე ჩივაძე

**ოლიმპიური მიღწევისათვის** — გელა კეტაშვილი

**ფეხბურთში მოღვაწე საუკეთესო ჟურნალისტი** — როდიონ (ბიჭიკო) ქორქია, „ლელოს" ყოფილი თანამშრომელი.

**საუკეთესო სპორტული ტელეჟურნალისტი** — დავით ქლიბაძე

**საუკუნის საუკეთესო სპორტული გაზეთი** — „ლელო"

**საუკეთესო კინორეჟისორი** — მიხეილ ჭიაურელი

**საუკეთესო ტელეკომენტატორი** — კოტე მახარაძე

**ფეხბურთში მომუშავე საუკეთესო ექიმი** — ზაქრო თელია

საუკუნის რჩეული ფეხბურთელის ვინაობა ქვეყნის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გამოაცხადა. მანვე საზოგადოებას ამცნო, რომ ლეგენდარული ბორის პაიჭაძე დაჯილდოებულია „ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით" (სიკვდილის შემდეგ). სამშობლოს ორდენებით დაჯილდოვდნენ აგრეთვე ქართული ფეხბურთის სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები.

საუკუნის საუკეთესო საფეხბურთო გუნდის დასახელების პატივი საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ირაკლი მეძმარიაშვილს ხვდა წილად.

ამავე შეკრებაზე გამოცხადდა, რომ ვაკის საფეხბურთო სტადიონს მიენიჭა სლავა მეტრეველის სახელი.

**თენგიზ გაჩეჩილაძე.**

**გაგრძელება იქნება.**

**დასაწყისი იხ. „ლელო" №67-70.**

ეროვნული ბიბლიოთეკა


# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №28 (42) სექტემბერი. 2005 წელი




## კახა ბასილია — რუსეთის საპატიო სტუმარი

რუსეთის ჰერალდიკის სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს კახა ბასილიას, მსოფლიოსა და მათ შორის რუსეთში კარატეს პოპულარიზაციისათვის აჯილდოვებს რუსეთის საპატიო სტუმრის სტატუსით და მედლით. ამ უაღრესად დიდ და საპატიო ჯილდოს კახა ბასილიას თავად რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი გადასცემს სხვა საპატიო სტუმრებთან ერთად, რომელიც კრემლში შედგება.




# ქართული კარატე ევროპის ჩემპიონატზე ერთადერთი საუკეთესო იყო

სტამბულმა ევროპის რიგით მეხუთე ჩემპიონატს უმასპინძლა შოტოკანში, რომელიც 9-11 სექტემბერს გაიმართა. სტამბულის ევროპის ჩემპიონატზე 28 ქვეყნის ეროვნული ნაკრების 1500-ზე მეტი კარატისტი ასპარეზობდა. ჩემპიონატზე ყველა ასაკისა და წონით კატეგორიის სპორტსმენი ასპარეზობა.

სტამბულის ევროპის ჩემპიონატის ორგანიზატორთა წინასწარი პროგნოზი ამჯერადაც გამართლდა და სტამბულის ევროპამ სრული ანშლაგით ჩაიარა. ჩემპიონატის ორგანიზაციული მხარე, საზეიმო გახსნა და დაჯილდოვება უმაღლეს დონეზე იყო.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ნაკრები გუნდი 50 კაციანი სპორტული დელეგაციით წარსდგა ევროპის ტატამზე, მაინც ყველაზე პატარა ნაკრები აღმოჩნდა სხვა ქვეყნებთან შედარებით. აქვე უნდა დავამატოთ ისიც, რომ ჩვენი გუნდი, სხვებისგან განსხვავებით, სრულიად ახალგაზრდა კარატისტებით იყო დაკომპლექტებული, რაც გარკვეულწილად შედეგებზეც აისახა.

„ქართული კარატეს სასახელოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც სხვა მისი წინამორბედი, ამ ევროპის ჩემპიონატზეც ისახელა თავის ჩვენმა ნაკრებმა და საერთო გუნდურ ჩათვლაში და მედლების რაოდენობით მეოთხე იყო აზერბაიჯანის, თურქეთისა და რუსეთის შემდეგ. ამავე დროს, საქართველოს კარატეს ეროვნული ნაკრები ერთერთი საუკეთესო იყო ამ ევროპის ჩემპიონატზეც, რაც თავად ორგანიზატორებმა აღნიშნეს შეჯიბრის დამთავრების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე", — აღნიშნა სტამბულიდან დაბრუნებულმა საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ.

თურქეთის კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი კახა ბასილია განსაკუთრებული პრიზით დააჯილდოვა, როგორც ამ ჩემპიონატის ერთერთი საუკეთესო ნაკრების ხელმძღვანელი და კარატეს პოპულარიზატორი.

ქართული სპორტის მოყვარულთ ერთ ძალზედ სასიხარულო ინფორმაციას გაგიმხელთ: ევრო-










...პის ჩემპიონატის დასასრულს, მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციია პრეზიდენტმა და ლეგენდარულმა ოსტატმა, ჰიტოში კასუიამ, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩასატარებელი გეგმა განიხილა მსოფლიოს კარატეს ტექნიკური დირექტორატთან ერთად. ჩემპიონატის ჩასატარებლად 6 ქვეყანა დასახელდა, მათ შორის მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები, ჩვენდა სასახელოდ საბოლოოდ არჩევანი საქართველოზე და კეიპტაუნზე შეჩერდა. ამ შემოდგომაზე კი საქართველო კიდევ ერთხელ უმასპინძლებს კარატეს ცოცხალ ლეგენდას, ჰიტოში კასუიას და საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად განიხილავენ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატს. 2001 წლის თბილისის ევროპის ჩემპიონატის ჩატარების შემდეგ საქართველომ თავისი ადგილი საბოლოოდ დაიმკვიდრა მსოფლიო კარატეს სამყაროში და იმედია მომავალ მსოფლიო ჩემპიონატსაც უმასპინძლებს, თანაც უფრო მაღალ დონეზე.

ამ წარმატების ბოლოს კი გეტყვით, რომ 17 და 18 სექტემბერს საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაცია იორდანიაში იასპარეზებს ახლო აღმოსავლეთის ჩემპიონატზე. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული კარატეს ნაკრები იორდანიამ თავისი სურვილით მიიწვია და ყველანაირ ფინანსურ მხარესაც თავადვე უზრუნველყოფს. სკეფ-ის პრეზიდენტი კახა ბასილია აცხადებს, რომ ეს ჩემპიონატი ერთერთი დიდი და წარმომადგენლობითი, საკმაოდ პრესტიჟული და არც თუ ისე ადვილი მოსაგებია. თუმცა თავისი შეგირდების იმედი ამჯერადაც აქვს და ქართული სპორტის გულშემატკივრებს მედლებს ახლაც პირდება.





***ვაჟები:***

დავით ტყებუჩავა, I ადგილი, 17 წ. ინდ.კუმიტე; ალეკო ჟამურაშვილი, II ადგილი, 18 წ. ინდ.კუმიტე; ლევან გორელაშვილი, II ადგილი ინდ.კუმიტე, აბსოლუტური კატეგ; III ადგილი ჯიუ კუმიტე, გუნდ.კუმიტე, III ადგილი გუნდ.კუმიტე; ირაკლი ტყებუჩავა I, უფროსები. 65კგ. I ადგილი ინდ.კუმიტე; რამაზ სახვაძე, III ადგილი, გუნდ.კუმიტე; გიორგი ლიპარტელიანი, III ადგილი, გუნდ.კუმიტე; გოგა ხუფენია, III ადგილი, გუნდ.კუმიტე.

***გოგონები:***

თეონა სულამანიძე, I ადგილი, 10-12 წ. ინდ.კატა. ქეთინო გოგბერაშვილი I ადგილი ინდ.კატა, 16 წ. ეთერ გავაშელი III ადგილი, უფროსებში ინდ.კატა. ჟანა ჭუბაბრია, II ადგილი, გუნდ.კუმიტე.

**გუნდური კატა:**
I ადგილი
ქეთინო გოგბერაშვილი
ჟანა ჭუბაბრია
ეთერ გავშელი

**მიჟს კატა:**
II ადგილი
ქეთინო გოგბერაშვილი
ეთერ გავაშელი
თენგიზ კვერცხიშვილი





ნუგზარ ქიაბერაშვილი, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი

## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს, ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით, ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

空手道

მათ, ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6, ტელ/ფაქსი: 96-31-89, www.karate.ge საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი.

მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ

# ედუარდ სტრელცოვი საბჭოთა სასამართლოს წინაშე

1954 წლის თებერვალში მოსკოვის „ტორპედოს" უფროსმა მწვრთნელმა **ნიკოლოზ მოროზოვმა** განაცხადა: „ვფიქრობ, რომ ჩვენი გუნდის ძირითად შემადგენლობაში უკვე მიმდინარე სეზონის დასაწყისშივე მაყურებლები იხილავენ 17 წლის **ედუარდ სტრელცოვს**, რომელიც გასულ წელს ჭაბუკთა ნაკრებში თამაშობდა. მაღალი ტანი, სისწრაფე, კარისკენ კარგი დარტყმები — ამ ნიჭიერი სპორტსმენის ჩინებული თვისებებია."

მალე ასრულდა ნ. მოროზოვის სიტყვები და **ვალენტინ ივანოვის** გვერდით გამოჩნდა სრულიად ახალგაზრდა ედუარდ სტრელცოვი. „ტორპედოს" ისტორიაში იწყებოდა ახალი ერა.

დუეტი ივანოვი — სტრელცოვი პირველად 1954 წლის 4 აპრილს გამოვიდა ხარკოვში ადგილობრივი „მეტალისტის" წინააღმდეგ. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ჯერ კიდევ არ იყო დუეტი. ივანოვი უკვე ძირითადი შემადგენლობის სრულუფლებიანი მარჯვენა შუამარბი იყო, ცენტრალურ თავდამსხმელად თამაშობდა გულევსკი, ხოლო სტრელცოვი მეორე ტაიმში შევიდა მინდორზე მარცხენა გარემარბის **ჩერენცოვის** ნაცვლად. პირველი მატჩი საბჭოთა კავშირის პირველობაზე დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით 4-1. ხარკოველთა კარში ბურთები გაიტანეს — ივანოვმა ორი, გულევსკიმ და სტრელცოვმა — თითო.

ერთი წლის შემდეგ, 1955 წლის იანვარში, ივანოვი და სტრელცოვი საკავშირო ნაკრების ძირითადი შემადგენლობის წევრები გახდნენ და ამხანაგური თამაშების ჩასატარებლად ინდოეთში გაემგზავრნენ. ამ ტურნეზე საბჭოთა ფეხბურთელებმა ინდოელთა კარში 100 გოლი გაიტანეს. აქედან ყველაზე მეტი, 15 გოლი სტრელცოვის ანგარიშზე იყო, 14 კი — ივანოვის.

იმავე წლის ივლისში საბჭოთა ნაკრებმა სტოკჰოლმში გამართა შეხვედრა შვეციის ნაკრების წინააღმდეგ და თამაში მოიგო გამანადგურებელი ანგარიშით — 6-0. ამ შეხვედრაში თავი გამოიჩინა ედუარდ სტრელცოვმა, რომელმაც 3 ბურთი გაიტანა. საერთოდ, იმ დროს ე. სტრელცოვის გამოსვლები საფეხბურთო მინდვრებზე, როგორც საბჭოთა, ისე საზღვარგარეთის პრესაში ფასდებოდა როგორც „ამომავალი ვარსკვლავის" თამაში. გამოჩნდა თუ არა საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში, ედუარდ სტრელცოვი, **ნიკიტა სიმონიანს** ხშირად უწევდა სათადარიგო მოთამაშეთა სკამზე ჯდომა. აქვე დავუმატებ, რომ სტრელცოვი და ივანოვი ერთმანეთს უსიტყვოდ უგებდნენ. თუ პირველი მრისხანე ცენტრფორვარდი იყო, მაშინ მეორე იყო რა შუამარბი, ინგლისურად ინსაიდი, გამოირჩეოდა დისპეტჩერული ფუნქციების საუკეთესო შესრულებით.

1956 წელს მელბურნის ოლიმპიადაზე ე. სტრელცოვმა იუგოსლავიის ნაკრებთან ფინალურ შეხვედრამდე ყველა დანარჩენი მატჩი ითამაშა, თანაც, ყველა ფეხბურთელისგან გამორჩეულად გამოიყურებოდა. მაგრამ საბჭოთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა **გავრილ კაჩალინმა** იუგოსლავიის ნაკრების წინააღმდეგ თავდასხმაში მთლიანად მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელები — ტატუშინი, ისაევი, სიმონიანი, სალნიკოვი და ილინი გამოიყვანა. საბჭოთა ფეხბურთელებმა ფინალურ შეხვედრაში დაამარცხეს იუგოსლაველები 1-0. ეს ერთადერთი ბურთი ანატოლი ილინმა გაიტანა. ოლიმპიური ჩემპიონატის ოქროს მედლებით მხოლოდ ის ფეხბურთელები დააჯილდოვეს, რომლებმაც ფინალურ მატჩში მიიღეს მონაწილეობა. სტრელცოვი და ივანოვი უმედლებოდ დარჩნენ. მათ ნაცვლად ოქროს მედლები მიიღეს ნიკიტა სიმონიანმა და ანატოლი ისაევმა.

გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელები ავსტრალიიდან სამშობლოში თბომავალი გემით „საქართველოთი" გამოემგზავრნენ. სწორედ გემზე ნიკიტა სიმონიანს უნდოდა თავისი ოქროს მედალი სტრელცოვისთვის გადაეცა, რადგან ის თვლიდა, რომ მედალი სტრელცოვს უფრო ეკუთვნოდა. მაგრამ ამ შეთავაზებაზე სტრელცოვმა კატეგორიული უარი განაცხადა და სიმონიანი ასეთი სიტყვებით „დაამშვიდა": „შენ უკვე ოცდაათი წლის ხარ, მე კი მხოლოდ ცხრამეტის. მე მომავალში კიდევ მექნება შესაძლებლობა ოლიმპიადებში ვითამაშო"... მაგრამ ბედის ირონიით მან ვერ შეძლო დაპირების შესრულება. თუ რატომ, ქვემოთ ქვექნება საუბარი.

თავიდანვე დაიწყს ე. სტრელცოვის ქება და განდიდება. საბჭოთა და საზღვარგარეთის საინფორმაციო საშუალებებით მასზე აღფრთოვანებით და აღტაცებით ამბობდნენ, რომ "ის იგივეა მინდორზე, როგორიც ჰაერში იყო პოკრიშკინი", რომ „ის არის რუსული ტანკი", „ფეხბურთის პუშკინი", „ფეხბურთის შალიაპინი" და ა.შ.

თაყვანისმცემლები მას პატიჟობდნენ ლუდხანაში, რესტორანში და ისიც სვამდა ალკოჰოლიან სასმელებს და არ იცავდა რეჟიმს, მაგრამ თამაშის დროს მაინც, აჩვენებდა უმაღლეს კლასს.

ე. სტრელცოვს „ვარსკვლავური სინდრომი" ჯერ კიდევ მაშინ გამოაჩნდა, როდესაც მან და ვალენტინ ივანოვმა გდრ-ში მიმავალ მატარებელზე დააგვიანეს. უფრო დაწვრილებით, საქმე იმაში იყო, რომ 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ საბჭოთა ნაკრები შერჩევით მატჩში ხვდებოდა პოლონეთის ნაკრებს. მოსკოვში წვიმიანი ამინდის მიუხედავად, საბჭოთა ნაკრებმა 3-0 გაიმარჯვა, ხოლო განმეორებით მატჩში, რომელიც ხოჟუვში გაიმართა, პოლონელებმა მიაღწიეს სასურველ შედეგს. საჭირო გახდა მესამე გადამწყვეტი შეხვედრის ჩატარება, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ ლაიფციგში დაინიშნა. სწორედ გდრ-ში მიმავალ საბჭოთა ნაკრებს ჩამორჩნენ ე. სტრელცოვი და ვ. ივანოვი. ისინი ავტომანქანით მოსკოვიდან გასულ მატარებელს დაეწივნენ მოჟაისკთან, სადაც მატარებელმა საკავშიროო გზათა მიმოსვლის სამინისტროს პასუხისმგებელი ჩინოვნიკის განკარგულებით იძულებითი გაჩერება გააკეთა.

ა. სტრელცოვმა დანაშაული თამაშით გამოისყიდა, მოუშუშებელი ტრავმით მინდორზე გამოვიდა და ნაკრების გამარჯვებაში თავისი გადამწყვეტი სიტყვა თქვა. საბჭოთა ნაკრებმა 2-0 გაიმარჯვა და ერთი ბურთი სტრელცოვმა გაიტანა. ამ გამარჯვებით საბჭოთა ფეხბურთელებმა უფლება მიიღეს პირველად მიეღოთ მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატში.

1958 წლის VI მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებისას ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა **გავრილ კაჩალინმა** თავდასხმაში შექმნა სტრელცოვ-სიმონიანის კარგი ტანდემი. სტრელცოვი მწვავე შეტევების წინა ხაზზე იყო წაწეული, ხოლო სიმონიანს დაკისრებული ჰქონდა უკან დაწეული თავდამსხმელი-დისპეტჩერის ფუნქციები.

შვეციაში მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე, 1958 წლის 26 მაისს, 12 საათზე საბჭოთა ნაკრები შეიკრიბა მოსკოვის „სპარტაკის" ბაზაზე ტარასოვკაში, რათა გაეგრძელებინათ მოსამზადებელი საწვრთნელი ვარჯიშები. დაახლოებით 15 საათისთვის იქ სპეცმანქანებით მივიდნენ მოსკოვის მილიციის გაძლიერებული რაზმები და ნაკრების ძირითადი მოთამაშეები **მიხეილ ოგონკოვი, ბორის ტატუშინი** და ედუარდ სტრელცოვი წინასწარ პატიმრობაში აიყვანეს. ბუნებრივია, სამივეს დისკვალიფიკაცია მისცეს და ნაკრების შემადგენლობიდან გამოიყვანეს.

ამ საგანგებო შემთხვევამ მძიმე დაღი დაასვა ნაკრების შემდგომ გამოსვლებს. განსაკუთრებით დიდი დანაკლისი აღმოჩნდა ედუარდ სტრელცოვის არყოფნა ნაკრებში. გ. კაჩალინი იძულებული იყო მ. ოგონკოვის ნაცვლად ნაკრებში გამოეყვანა **კესარევი**, ხოლო ტატუშინის ნაცვლად ლენინგრადელი **ალექსანდრე ივანოვი**. ედუარდ სტრელცოვის სრულფასოვანი შემცვლელი საერთოდ, არავინ იყო. ასე იყო თუ ისე, საბჭოთა ნაკრებმა სტოკჰოლმში მეოთხედფინალური შეხვედრა შვეციის ნაკრებთან წააგო 0-2 და გამოეთიშა შემდგომ გათამაშებას. არადა, საბჭოთა ნაკრების თავდასხმა ედუარდ სტრელცოვის მეთაურობით ნებისმიერი ქვეყნის ნაკრებისთვის მრისხანე ძალად აღიქმებოდა, მისი ეშინოდათ.

ე. სტრელცოვის დაპატიმრების შესახებ მრავალი ჭორი და ზღაპრული ამბები ვრცელდებოდა. რას არ ამბობდნენ, ზოგს სჯეროდა, ზოგს არა, მაგრამ საქმის არსში თითქმის არავინ იყო და ასე გრძელდებოდა დიდი ხნის მანძილზე, სიმართლე არავინ იცოდა და მას ტაბუ ჰქონდა დადებული. თითქმის 40 წელიწადი დასჭირდა, რომ პრესაში გამოექვეყნებინათ მასალა ე. სტრელცოვის დანაშაულებრივ საქციელზე. და აი, 1997 წლის ზაფხულში გაზეთმა „სოვეტსკაია როსიამ" გამოაქვეყნა ყოფილი საბჭოთა კავშირის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს ყოფილი პროკურორის **ე. მირონოვას** წერილი, რომელშიც ის წერდა: „სსრკ გენერალური პროკურორის დავალებით, პირადად ჩემს მიერ, პირველი დღიდანვე დაწყებული იქნა მოკვლევა სტრელცოვის საქმესთან დაკავშირებით, რის შედეგადაც დადგინდა, რომ მთვრალმა სტრელცოვმა არასრულწლოვან **მარინა ლ-ს** შემოახია ტანსაცმელი და ძალადობით გააუპატიურა. მარინა ტიროდა, შველას ითხოვდა, შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ ძალები უთანაბრო იყო"...

ე. მირონოვას ამ წერილში ყველაფერი სიცრუე იყო და სისხლის სამართლის საქმე ხელოვნურად იყო „შეკერილი".

47 წელი შესრულდა, რაც ედუარდ სტრელცოვი არაობიექტური გამოძიების შედეგად გაასამართლეს, 12 წლით პატიმრობა მიუსაჯეს და სასჯელის მოსახდელად გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში გაუშვეს. ნამდვილი ალიბი, თუ რისთვის გაასამართლეს და ხანგრძლივი ვადით პატიმრობა მიუსაჯეს, არ იცოდნენ არა მარტო მისი ტალანტის თაყვანისმცემლებმა და მილიონობით გულშემატკივრებმა, არამედ მისმა კოლეგა-ფეხბურთელებმა და თვით სტრელცოვმაც, რომელიც ისე წავიდა იმქვეყნად, რომ სრულ სიმართლეში თავადაც ვერ გაერკვა.

ე. მირონოვას ცრუ პუბლიკაციიდან გავიდა სულ ცოტა ხანი და 1997 წლის ნოემბერში გაზეთ „სოვერშენნო სეკრეტნოში" გამოქვეყნად ცნობილი იურისტის **ანდრეი სუხომლინოვის** წერილი, რომლითაც საბოლოოდ ფარდა აეხადა სასამართლოს არქივებში დამტვერილ „სტრელცოვის საქმეს", რომელიც მანამდე ყველასათვის მიუწვდომელი იყო, დადგინდა სიმართლე და ჭეშმარიტება.

ქვემოთ მოგვყავს ა. სუხომლინოვის წერილის მოკლე შინაარსი:

1958 წლის 24 მაისს მოსკოვში შედგა ამხანაგური მატჩი საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ნაკრებებს შორის, რომელიც მასპინძლების გამარჯვებით დამთავრდა. თამაშის შემდეგ სასტუმრო „ლენინგრადსკაიას" რესტორანში გამართული ბანკეტიდან ფეხბურთელები შინ გაუშვეს, რომ მეორე დღეს — 25 მაისის დილის 10 საათზე ნაკრების ყველა წევრი, შვეციის მსოფლიო ჩემპიონატზე წასვლამდე რამდენიმე დღით ადრე, საპარადო კოსტიუმების გასინჯვაზე ატელიეში მისულიყო. ატელიედან სტრელცოვი და ოგონკოვი წავიდნენ ტატუშინის მანქანისკენ, სადაც იჯდნენ **ტატუშინი**, მისი მეგობარი მფრინავი **კარაზანოვი** და ორი მომხიბლავი ქალიშვილი. მათ კიდევ ორი ქალიშვილი დაემატათ და ისინი წავიდნენ მოსკოვთან ახლოს, ტიშკოვის წყალსაცავზე, სადაც გვარიანად გამოთვრნენ...

სასამართლო საქმის მასალებში არსად არ არის მოყვანილი და დაფიქსირებული მოწმეთა ჩვენებები, რომ „მთვრალმა სტრელცოვმა მარინა ლ-ს ტანსაცმელი შემოახია და გააუპატიურა"... სასამართლოს საქმიდან დგინდება, რომ „არასრულწლოვანი" მარინა ლ. მაშინ ოცი წლისა და ოთხი თვის იყო. უფრო მეტიც, ერთ-ერთი მისი მეგობარი გოგონა კარის ჭუჭრუტანიდან უყურებდა, თუ როგორ შეთანხმებულად, ჰარმონიულად და წინააღმდეგობის გარეშე მიმდინარეობდა სექსი სტრელცოვსა და მარინა ლ-ს შორის. ყოველივეს სხვა მოწმეებიც ადასტურებდნენ.

დაკითხვის დროს მარინა ლ-მ განაცხადა, რომ სახლში დილით ადრე მივიდა, რომ დედამისმა მას სცემა და აიძულა, რომ სტრელცოვის წინააღმდეგ სასარჩელო განცხადება დაეწერა...

ინფორმაცია სტრელცოვის წინასწარი დაპატიმრების შესახებ სპორტკომიტეტიდან უმალვე გადააგზავნეს კომპარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტში და შემდეგ მოხვდა **ეკატერინე ფურცევას** მაგიდაზე. ის იმ დროს საქალაქო კომიტეტის მდივანი იყო. სტრელცოვის ტალანტის თაყვანისმცემელ ე. ფურცევას შეეძლო საქმე არ გაერთულებინა და დაეხურა. მაგრამ გულღვარძლიან ფურცევას გაახსენდა ორი წლის წინანდელი ამბავი, — 1956 წელს, როდესაც შინ დაბრუნებულ ოლიმპიურ ჩემპიონებს კრემლის სვეტებიან დარბაზში საზეიმო მიღება მოუწყვეს, მან სტრელცოვს თავისი ქალიშვილის გაცნობა და ხელი შესთავაზა, რაზეც ედიკამ წინდაუხედავად უპასუხა: „ჩემს ალკას ვერავისზე გავცვლი", ალკა სტრელცოვის საცოლე იყო. განაწყენებულმა ა. ფურცევამ ისლა „მოახერხა", რომ სტრელცოვის მაკომპრომენტირებელი მასალები სკკპ ცკ-ის პირველი მდივნის **ნ. ხრუშჩოვის** ხელში მოხვედრილიყო. ნიკიტამ, ნაცვლად იმისა, რომ საქმეში გარკვეულიყო, სტრელცოვს უწოდა „არამზადა და უნამუსო" და ბრძანება გასცა: „ჩასვით, თანაც დიდი ხნით!"

ე. სტრელცოვის მიმართ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას ძალზე ბევრი შეცდომა დაუშვეს გამომძიებელმა და პროკურორმა, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს, რომ მის მიმართ დაემძიმებინათ საქმე. პირველ რიგში საქმეში არ ჩააკრეს „დაზარალებულის" განცხადება, რომ „ის მიუტევებს სტრელცოვს" და განცხადება უკან წაალებინეს. მარინას მიერ თავდაპირველად დაწერილი განცხადება მისი გაუპატიურების შესახებ რეგისტრირებული არ აღმოჩნდა და ის არც პროკურორს არ განუხილავს. „დაზარალებული" არ იყო გაფრთხილებული წინასწარ მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზე, თუ ის ცრუ დაბეზღებას გააკეთებდა სტრელცოვის საზიანოდ. „დაზარალებულის" მიმართ არ ჩატარებულა სამედიცინო ექსპერტიზა. ძიების არც ერთ ოქმზე არ არის ნაჩვენები მათი შედგენის თარიღი.

გამოძიების პერიოდში მოსკოვის „ტორპედოს" გუნდმა და ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის მრავალათასიანმა კოლექტივმა სტრელცოვის სასარგებლოდ თხოვნა-შუამდგომლობით მიმართეს პროკურატურას და სასამართლოს. აგრეთვე წარდგენილი იქნა ცნობები, რომ სტრელცოვის დედა ინვალიდია, ხოლო მეუღლე ალკა ფეხმძიმედ არის. მაგრამ, სამწუხაროდ, არც შუამდგომლობები და არც ცნობები გათვალისწინებული არ იქნა...

ე. სტრელცოვის დაპატიმრებიდან ორი თვის შემდეგ, 1958 წლის 23 ივლისს გაიმართა სასამართლოს დახურული პროცესი, სადაც პროკურორმა მოითხოვა „მოძალადისთვის" გამოეტანათ 15 წლით პატიმრობის განაჩენი, სასამართლომ კი სტრელცოვს 12 წელი მიუსაჯა. განაჩენი გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. ის სასჯელის მოსახდელად მოსკოვთან ახლოს მდებარე კოლონიაში გააგზავნეს. კოლონიის უფროსი ფეხბურთის მხურვალე გულშემატკივარი და ედუარდ სტრელცოვის თაყვანისმცემელი აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, კოლონიის ადმინისტრაცია მას ყოველგვარ პირობებს უქმნიდა, რომ ყოველდღე ინტენსიურად ევარჯიშა და სასურველი სპორტული ფორმა შეენარჩუნებინა. ე. სტრელცოვს უფლებას აძლევდნენ, რომ რამდენიმე სეზონი მოსკოვის ავტოქარხნის საკლუბო გუნდში ეთამაშა, ხოლო „დიდ ფეხბურთს" ტრიბუნიდან აკვირდებოდა. ყოველივე ზემოთქმულმა მისი თამაში უფრო გაამდიდრა, დინამიური გახადა, უკეთესად დაიწყო სათამაშო მინდვრის ხედვა და, რაც მთავარია, ის ტარანის ტიპის ფეხბურთელიდან გადაიქცა კომბინაციური სტილის ფორვარდად, ამასთან, შეინარჩუნა ინდივიდუალური ოსტატობა და უმაღლესი სათამაშო კლასი...

ედუარდ სტრელცოვის ნაადრევად გათავისუფლებას დიდად შეუწყო ხელი ნიკიტა ხრუშჩოვის ყველა პოსტიდან მოხსნამ და პენსიაზე გაშვებამ, უკვე 1965 წლის დასაწყისშივე ის თავის მშობლიურ „ტორპედოს" დაუბრუნდა და იმავე წელს თავის გუნდთან ერთად საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, თანაც, 12 გატანილი გოლით „ტორპედოს" საუკეთესო ბომბარდირის წოდება დაიმსახურა. საერთოდ, ე. სტრელცოვი „ტორპედოს" შემადგენლობაში ხუთჯერ ფლობდა ამ წოდებას. სხვათა შორის, 1968 წელს საკავშირო პირველობაზე 21 გატანილი გოლით ის ბომბარდირთა შორის ლიდერობდა, მაგრამ სეზონის ბოლო შეხვედრებში ტაშკენტის „პახტაკორის" ფორვარდმა **აბდურაიმოვმა** და თბილისის დინამოელმა **გოჩა გავაშელმა** ორ-ორი ბურთი გაიტანეს და გაზეთ „ტრუდის" პრიზს დაეუფლნენ.



ე.სტრელცოვმა ისევ აღიდგინა სპორტული ფორმა. იგი საბჭოთა კავშირის ნაკრებში კვლავ წარმატებით გამოდიოდა... და მაინც, ის გაცილებით მეტს შეძლებდა, რომ ნაკრებში **სლავა მეტრეველთან და მიხეილ მესხთან** ერთად ეთამაშა. სწორედ მას ეკუთვნის სიტყვები: „საბჭოთა ნაკრებში არ მომეცა შესაძლებლობა, მეთამაშა სლავა მეტრეველისა და მიხეილ მესხის ცენტრში"...

ცნობილი სპორტული ჟურნალისტის **კონსტანტინე სერგეის ძე ესენინის** შეკითხვაზე: „რომელ წლებში, თვლით, რომ „ტორპედო" განსაკუთრებით ძლიერად თამაშობდა და თქვენ კმაყოფილი იყავით?" — ედუარდ სტრელცოვმა ასე უპასუხა: „—1958 წელს ჩვენთან შეიქმნა ძალზე ძლიერი გუნდი. უჩემოდაც 1960-1961 წ.წ. გუნდი ძალიან ძლიერად თამაშობდა.

კარგი თამაში გამომდიოდა მანამდე სლავა მეტრეველთან, ხოლო 1965-1966 წ.წ. ივანოვთან და **დენისოვთან**. ისინი დიდი ოსტატები იყვნენ, არ აყოვნებდნენ ბურთს და პასებს იძლეოდნენ"..

ედუარდ სტრელცოვი, მიხეილ მესხი და სლავა მეტრეველი მსოფლიო ფეხბურთის სუპერვარსკვლავები იყვნენ და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისინი ფეხბურთის ისტორიაში უძლიერესი და განუმეორებელი სამეულის სახელით შევიდოდნენ, რომ არა ბედის ირონია. არადა, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სლავა მეტრეველისა და მიხეილ მესხის წყალობით გაიცნო ევროპამ და მსოფლიომ როსტოველი **ვიქტორ პონედელნიკი,** რომელიც ედუარდ სტრელცოვს ჩამოუვარდებოდა ბევრი საფეხბურთო კრიტერიუმებით.

1968 წლის სეზონი „გედის სიმღერა" აღმოჩნდა ტორპედოელი გვარდიელებისათვის. იმ წლის ქვეყნის ჩემპიონატში ავტოქარხნელებმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს, ხოლო ე. სტრელცოვმა 21 გატანილი გოლით საუკეთესო ბომბარდირის წოდება მოიპოვა. მოსკოვის „ტორპედომ" დიდ წარმატებას მიაღწია საკავშირო თასის გათამაშებისას, როდესაც ფინალურ მატჩში ადვილად სძლია ტაშკენტის „პახტაკორს". ეს მოხდა 1968 წლის 8 ნოემბერს.

შემდეგში გუნდი დატოვეს ვალერი ვორონინმა, ვალენტინ ივანოვმა და ედუარდ სტრელცოვმა. ეს თანავარსკვლავედი მთელი ეპოქა იყო არა მარტო „ტორპედოს" ისტორიაში, არამედ მთლიანად საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში.

საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში ედუარდ სტრელცოვი 25 გატანილი ბურთით ერთ-ერთი რეკორდსმენია. „ფედოტოვის სახელობის კლუბის" წევრთა შორის **ალექსანდრე პონომარიოვის** და ვალენტინ ივანოვის შემდეგაა ედუარდ სტრელცოვი. ეს ხომ ფრიად განსაცვიფრებელია. მას ხომ შვიდი საფეხბურთო სეზონი გაუცდა, გაუცდა ფეხბურთელისთვის ყველაზე საუკეთესო წლები. არადა, ის გაცილებით ძლიერი იყო ბევრ ვარსკვლავზე, რომელთა შესახებ დიდი ქედმაღლობით წერდა მსოფლიო პრესა, განსაკუთრებით კი სტოკჰოლმის ჩემპიონატის შემდეგ, სადაც მას მონაწილეობა არ მიუღია. საბედისწერო შემთხვევა რომ არა, ედუარდ სტრელცოვი შვეციის ჩემპიონატზე მთელი სიკაშკაშით აელვარდებოდა, გაბრწყინდებოდა და ბევრ ცნობილ ფორვარდს დაჩრდილავდა.

**ზურამ ჩხიკვაძე.**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

Coca-Cola გენერალური სპონსორი

# ჩემპიონატის მეექვსე განზომილება

უქმეებზე ეროვნული ჩემპიონატი გაკვალულ გზას დაადგება. შაბათს და კვირას მორიგი მეექვსე ტურის მატჩები გაიმართება. თუმცა, ტური ამჯერადაც არასრულად ჩატარდება. პარასკევს გასამართი აუტსაიდერების „სპარტაკისა“ და „თბილისის“ მატჩი 20 სექტემბრისთვის გადაიტანეს. მეექვსე ტურში, რამდენიმე საყურადღებო და სატურნირო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მატჩია. ლიდერები შინ ითამაშებენ. ბოლნისელები თელაველებს უმასპინძლებენ, ბორჯომელები — ზესტაფონელებს, თბილისელი რკინიგზელები ვაკეში ფოთელებს მიიღებენ. მცხეთაში უკომპრომისო მეტოქეების თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ და „დინამოს“ მატჩია. თავისებურად დამაინტრიგებელია კიდევ სამი მატჩი. თბილისის „ამერი“ გლდანში დახვდება ცხინვალელ სტუმრებს. გორელები ბათუმელებს შეუმოწმებენ მუხლის ძალას და საფეხბურთო გამჭრიახობას. ზღვისპირელები ქართლში ახალი მწვრთნელის **ოთარ გაბელიას** დამძლვრილები ჩავლენ და ალბათ, იმასაც შეეცდებიან მისთვის სადებიუტო შეხვედრაში გამოცდილ მესაჭეს თავიც მოაწონონ და სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესონ. შარშანდელი პირველობის ვიცე-ჩემპიონები, ახლა კი მყარი აუტსაიდერები, ქუთაისის „ტორპედოელები“, შინ სოხუმელებთან პაექრობაში შეეცდებიან ამ სეზონში პირველი გოლის გატანას და პირველი გამარჯვების მოპოვებას. სოხუმელთა თავკაცმა **გოჩა ჟორჟოლიანმა,** განვლილ ტურში ბოლნისელებთან მატჩის შემდეგ გაკეთებული მკვეთრი და კატეგორიული განცხადებით, მისი ფეხბურთელების მოსყიდვის მცდელობის შესახებ, გამოწვეული აჟიოტაჟი თავად ჩააცხრო და ადრე ნათქვამი უარყო. ახლა ალბათ, თვითონაც და ფეხბურთელებიც ქუთაისურ პაექრობაზე ფიქრობენ და პრინციპული მატჩისთვის ემზადებიან.

გათამაშების ცხრილის ზედა და შუა ნაწილში გუნდები მჭიდროდ განლაგდნენ და ხვალინდელი და ზეგინდელი მატჩების შედეგებმა შეიძლება მათი მდგომარეობა გარკვეულწილად შეცვალოს კიდეც, ან უკეთესობისკენ, ან უარესობისკენ.

პირველი ლიგის მეხუთე ტურის მატჩების უმეტესობა პარასკევს გაიმართება. ტური კი შაბათს, სამი მატჩით დასრულდება. გათამაშების სამ ლიდერს მნიშვნელოვანი მატჩები ელით უშუალო კონკურენტებთან და მოწინავე პოზიციების შესანარჩუნებლად ოფლის ღვრაც გვარიანი მოუწევთ.

ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩებამდე, დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალის გადატანილი ორი მატჩი შედგა და ორი მერვედფინალისტიც გამოვლინდა. ზესტაფონელებმა ზუგდიდელებს გასვლაზეც უპრობლემოდ მოუგეს. ახალციხელებმა კი სენსაცია გამოაცხვეს.

## საქართველოს XVII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

შინ უმაღლესლიგელი გორის „დილა“ დაამარცხეს და თასისთვის ბრძოლას დამსახურებულად აგრძელებენ.

## უმაღლესი ლიგა. VI ტური. ანონსი

**17 სექტემბერი**
ამერი — ცხინვალი
ბორჯომი — ზესტაფონი
სიონი — კახეთი
ტორპედო — დინამო (სოხ)
დილა — დინამო (ბთ)
**18 სექტემბერი**
ვიტ ჯორჯია — დინამო (თბ)
ლოკომოტივი — კოლხეთი 1913

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 5 | 4 | 1 | 0 | 8-2 | 13 |
| ბორჯომი | 5 | 4 | 0 | 1 | 11-3 | 12 |
| ლოკომოტივი | 5 | 3 | 2 | 0 | 7-2 | 11 |
| დინამო (თბ) | 5 | 3 | 1 | 1 | 6-3 | 10 |
| ამერი | 5 | 3 | 1 | 1 | 5-4 | 10 |
| ზესტაფონი | 4 | 3 | 0 | 1 | 4-2 | 9 |
| კოლხეთი1913 | 5 | 3 | 0 | 2 | 3-3 | 9 |
| ვიტ-ჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 7 |
| დინამო (ბთ) | 5 | 2 | 1 | 2 | 2-2 | 7 |
| ცხინვალი | 5 | 2 | 0 | 3 | 4-4 | 6 |
| დილა | 5 | 2 | 0 | 3 | 4-5 | 6 |
| კახეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 4-6 | 6 |
| დინამო (სოხ) | 5 | 1 | 1 | 3 | 5-9 | 4 |
| სპარტაკი | 5 | 0 | 1 | 4 | 0-4 | 1 |
| ტორპედო | 5 | 0 | 1 | 4 | 0-5 | 1 |
| თბილისი | 5 | 0 | 0 | 5 | 1-11 | 0 |

## პირველი ლიგა. V ტური. ანონსი

**16 სექტემბერი**
ამერი2 — მეშახტე
რუსთავი — ზუგდიდი
გაგრა — საგარეჯო
მერანი — დინამო 2
მალაროელი — ზესტაფონი 2
გურია — ლიახვი
**17 სექტემბერი**
ჩიხურა — მეშაქრე
ვიტ ჯორჯია (მცხ) — თბილისი 2
ლოკომოტივი 2 — მესხეთი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი2 | 4 | 3 | 1 | 0 | 6-2 | 10 |
| დინამო2 (თბ) | 4 | 3 | 0 | 1 | 13-3 | 9 |
| ლოკომოტივი2 | 4 | 3 | 0 | 1 | 4-1 | 9 |
| მერანი | 4 | 2 | 2 | 0 | 5-2 | 8 |
| მესხეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-3 | 7 |
| საგარეჯო | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| რუსთავი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-5 | 7 |
| მეშახტე | 4 | 1 | 2 | 1 | 7-3 | 5 |
| მეშაქრე | 4 | 1 | 2 | 1 | 3-2 | 5 |
| ზუგდიდი | 4 | 1 | 2 | 1 | 1-2 | 5 |
| გურია | 4 | 1 | 1 | 2 | 10-7 | 4 |
| ჩიხურა | 2 | 1 | 1 | 0 | 5-2 | 4 |
| ვიტჯორჯ2(მცხ) | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| ლიახვი | 4 | 1 | 0 | 3 | 5-9 | 3 |
| გაგრა | 4 | 0 | 3 | 1 | 1-3 | 3 |
| თბილისი2 | 4 | 0 | 1 | 3 | 4-12 | 1 |
| მალაროელი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-11 | 1 |
| ზესტაფონი2 | 3 | 0 | 0 | 3 | 0-8 | 0 |

# სუპერთასი პატრონს ჩააბარეს




**14 სექტემბერი. ბათუმი. სტადიონი „დინამო“. 1000 მაყურებელი**
**დინამო (თბილისი) – ლოკომოტივი (თბილისი) 1-0**
**დინამო:** სტურუა, ალადაშვილი, ქემოკლიძე, ამისულაშვილი, ლ. აკობია, დ. ოდიკაძე, ლ. ნოზაძე, ბაბუნაშვილი (ნავალოვსკი 85), მელქაძე (ს. იაშვილი 65), გ. მერებაშვილი, ბობოხიძე (გიგაური 80).
**ლოკომოტივი:** ჰანტურია, საჯაია, მახვილაძე, გ. ონიანი (დ. ფოფხაძე 72), რ. ონიანი, სირაძე, რამონი (ალავერდაშვილი 58), ინომოვი (ა. ნოზაძე 80), სეთურიძე, ქებაძე, კახელიშვილი.
**გოლი:** 1-0 ბობოხიძე (70)
**გააფრთხილეს:** ალადაშვილი (45), ქებაძე (63), გ. ონიანი (70), ა. ნოზაძე (82).
**გააძევეს:** ს. იაშვილი (86), გ. ონიანი (90)
**მსაჯი:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი).

საქართველოს ჩემპიონისა და თასის მფლობელის სუპერთასისთვის გაჩაღებულმა პაექრობამ, შოუთი და ეროვნული ჰიმნის შესრულებით გალამაზების მიუხედავად, ნერვულ ვითარებაში ჩაიარა. ცხადია, გამარჯვება და თასის მოპოვება ორივე გუნდს სურდა. ამიტომაც შეხვედრა ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყო. მატჩმა სათასო ხასიათი თავიდანვე მიიღო და უკანასკნელ წუთამდე დაძაბულ, უშეღავათო ბრძოლაში მიმდინარეობდა. ორმხრივი იერიშებით გამორჩეულ ამ თამაშში თავდაპირველად მცირე ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა რკინიგზელებს ჰქონდათ, მერე და მერე, დინამოელებიც გამოჩნდნენ მეტოქის საჯარიმოში, მაგრამ მათი შეტევები, ისეთი მწვავე არ იყო, როგორც „ლოკომოტივისა“. გოლის გატანას ორივე ცდილობდა, მაგრამ, ეს მხოლოდ, ჩემპიონმა მოახერხა. **იაშვილი – ბობოხიძის** კომბინაცია, მეორე ტაიმის შუაში „დინამოს“ გამარჯვების გოლით დამთავრდა. **კახა ცხადაძის** შეგირდებმა სახელიან კლუბს კიდევ ერთი ტიტული და თასი შემატეს. ექვსწლიანი პაუზის შემდეგ სუპერთასი მეხუთედ გათამაშდა და მეოთხედ თბილისის „დინამომ“ მოიპოვა. სასწაული არ მომხდარა. თასი ერთგულ პატრონს ჩააბარეს. ერთ დროს მივიწყებული ტრადიცია, ისევ აღდგა და სუპერთასი ამიერიდან, როგორც გვპირდებიან, ყოველწლიურად გათამაშდება.

**ყველა მატჩი 1996 – 2005 წწ.**
1996 წ. დინამო (ბათუმი) – **დინამო (თბილისი)** 0-4
1997 წ. **დინამო (თბილისი)** – დინამო (ბათუმი) 4-1
1998 წ. **დინამო (ბათუმი)** - დინამო (თბილისი) 2-1
1999 წ. **დინამო (თბილისი)** – ტორპედო (ქუთაისი) 1-0
2005 წ. **დინამო (თბილისი)** - ლოკომოტივი (თბილისი) 1-0

## დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასი



**მეთექვსმეტედფინალი. საპასუხო მატჩები.**
**13 სექტემბერი**
ზუგდიდი — **ზესტაფონი** 0-4 (0-3)
**მესხეთი** (ახალციხე) — დილა (გორი) 1-0 (3-3)
მეშაქრე (აგარა) — ამერი (თბილისი) (20.IX) (2-1).

# რეგიონალური ლიგა

**დასავლეთი. იმერეთის ზონა. I ტური**
სულორი (ვანი) — კახაბერი (ხელვაჩაური) 0-0
სამტრედია — ტორპედო2 (ქუთაისი) 3-1
შუქურა (ქობულეთი) — ნ. დინამო (ქუთაისი) 2-0
მერცხალი (ოზურგეთი) — რაჭა 2-1
დინამო— (ბათუმი) — ზესტაფონი 3 (გადაიდო)

**სამეგრელოს ზონა. I ტური**
მგლები (ზუგდიდი) — კოლხეთი (ხობი) 0-1
თოლია (სოხუმი) — სამეგრელო (ჩხოროწყუ) 2-0
დინამო (ზუგდიდი) — კოლხეთი2 (ფოთი) 1-0
სალხინო (მარტვილი) — სქური (წალენჯიხა) 1-2
**II ტური**
სქური — კოლხეთი (ხ) 1-0
სამეგრელო — მგლები 1-2
კოლხეთი2 (ფ) — თოლია 3-0
სალხინო — დინამო (ზ) 4-1

**ცენტრალური. IV ტური**
პეტროვიჩი — ივერია 0-0
თბილისი — 35-ე სკ 5-2
ჩიხურა2 — გორი 4-2
ბორჯომი2 — ზოოვეტი 1-1
ამირანი — აკადემია 2-1
**გადატანილი მატჩი**
ბორჯომი2 — ამირანი 2-0

**აღმოსავლეთი**
**გადატანილი მატჩი**
მაუდი — ნ. დინამო2 0-1

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილომი | 4 | 4 | 0 | 0 | 15-2 | 12 |
| ამერი3 | 4 | 4 | 0 | 0 | 18-0 | 12 |
| ნ. დინამო2 | 4 | 3 | 1 | 0 | 4-0 | 10 |
| ნ. დინამო | 3 | 3 | 0 | 0 | 10-2 | 9 |
| ხალიბი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-3 | 9 |
| სამგორი | 4 | 2 | 1 | 1 | 11-6 | 7 |
| ალაზანი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-1 | 7 |
| მაუდი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-4 | 6 |
| კახეთი2 | 4 | 1 | 2 | 1 | 4-2 | 5 |
| გარეჯი | 4 | 1 | 2 | 1 | 2-2 | 5 |
| ცხუმი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-11 | 3 |
| ერთობა | 4 | 0 | 2 | 2 | 2-6 | 2 |
| დურუჯი | 4 | 0 | 1 | 3 | 5-17 | 1 |
| ოჩამჩირე | 3 | 0 | 0 | 3 | 2-7 | 0 |
| ამირანი (თბ) | 4 | 0 | 0 | 4 | 0-12 | 0 |
| ალგეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-20 | 0 |

**ცენტრალური**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი2 | 4 | 3 | 1 | 0 | 8-2 | 10 |
| ჩიხურა2 | 4 | 3 | 0 | 1 | 15-5 | 9 |
| აკადემია | 4 | 3 | 0 | 1 | 8-4 | 9 |
| ზოოვეტი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-4 | 7 |
| თბილისი | 4 | 2 | 0 | 2 | 10-10 | 6 |
| 35-ე სკ. | 4 | 2 | 0 | 2 | 7-9 | 6 |
| გორი | 4 | 1 | 1 | 2 | 7-8 | 4 |
| ამირანი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-7 | 3 |
| ივერია | 4 | 0 | 2 | 2 | 3-5 | 2 |
| პეტროვიჩი | 4 | 0 | 1 | 3 | 1-14 | 1 |

## მსაჯები, ინსპექტორები

**უმაღლესი ლიგა. VI ტური**

**ამერი – ცხინვალი. მსაჯები** — გ. ვადაჭკორია, ზ. ჯვარიძე, ნ. რუსიშვილი, პ. დოგრაშვილი, **ინსპექტორი** — შ. ხინჩაგაშვილი.

**ბორჯომი – ზესტაფონი. მსაჯები** — მ. მაისურაძე, ზ. ხუციშვილი, მ. ელიკაშვილი, ლ. ფანიაშვილი, **ინსპექტორი** — ა. დურსუნიში.

**სიონი – კახეთი. მსაჯები** — ზ. ანიაშვილი, გ. ცირდავა, გ. დოგრაშვილი, ვ. ელისაბედაშვილი, **ინსპექტორი**— მ. ლაცაბიძე.

**ტორპედო – დინამო (სხ). მსაჯები** — ა. კრიჭაშვილი, ა. ნონიკაშვილი, ლ. მიქელაძე, ლ. კვარაცხელია, **ინსპექტორი** — რ. ტალიაშვილი.

**დილა – დინამო (ბთ). მსაჯები** — ა. მეშკოვი, მ. ურუშაძე, გ. ჩიგოგიძე, გ. კიკაჩეიშვილი, **ინსპექტორი**— მ. ჭელიძე.

**ვიტ ჯორჯია – დინამო (თბ). მსაჯები** — ლ. კვარაცხელია, გ. ჩიგოგიძე, კ. გაბრიაძე, ა. ორდინიძე, **ინსპექტორი** — ი. მჭედლიშვილი.

**ლოკომოტივი – კოლხეთი 1913. მსაჯები** — ლ. სილაგავა, ზ. მენთეშაშვილი, ა. სამხარაძე, დ. სანაია, **ინსპექტორი** — ს. კუტივაძე.

**გადადებული მატჩი**

**სპარტაკი – თბილისი. მსაჯები** — დ. სანაია, ლ. მიქელაძე, დ. ხარიტონაშვილი, გ. ასკაროლლი, **ინსპექტორი** — ა. სილაგავა.

# დისციპლინა მოიკოჭლებს

**ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის ხუთ წევრს საქმე ტრადიციულად არ ელევა. ჩვენებურ ჩემპიონატში მოასპარეზეთა და კლუბების თავკაცების დისციპლინა, სამწუხაროდ, გვარიანად მოიკოჭლებს. კომიტეტის მორიგი სხდომა, მორიგი დარღვევების განხილვას მიეძღვნა.**

**ბოლნისის „სიონის“ ბავშვთა გუნდის (1988-1989 წლიანები) მთავარ მწვრთნელს ბახვა მოსეშვილს თბილისის „ლოკომოტივთან“ მატჩის გვერდითი მსაჯის ვახუშტი ცინცაძის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია და 75 ლარის ჯარიმა გამოუწერეს. კლუბი „სიონი“ კი 500 ლარით დაჯარიმდა. ბოლნისელთა დიდი გუნდის ფეხბურთელი ჩიკვილაძე, ასევე მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის, ორ თამაშს გამოტოვებს და 300 ლარით დაჯარიმდება. ბათუმის დინამოელი დარჩიძეც მეტოქეზე უხეშობისათვის ორი მატჩითაა დისკვალიფიცირებული და 300 ლარით შეითხელებს ჯიბეს.**

**ორი ყვითელი ბარათის მიღებისათვის გაძევებული გორელი რევაზიშვილი, ლანჩხუთელი ჩხაიძე და თბილისის „დინამო“-2-ს ფეხბურთელი მერაბიშვილი თითო მატჩს გამოტოვებენ და 50-50 ლარით დაჯარიმდებიან..**

# უკუსვლა

სექტემბრის შესარჩევმა მატჩებმა ჩვენს ეროვნულ გუნდს შესაქები არაფერი მოუტანა, რაც ფიფა-კოკა-კოლას ტრადიციულ ყოველთვიურ რეიტინგშიც აისახა. უკრაინასთან მატჩში მოპოვებულმა ერთმა ქულამ და დანიაში განცდილმა მარცხმა ნაკრები რეიტინგში ერთი საფეხურით დააქვეითა. ჩვენი გუნდი ახლა 104-ე ადგილზეა. თურქეთმა მე-12 ადგილი შეინარჩუნა, გაიუმჯობესა მდგომარეობა დანიამ და ახლა მე-14 პოზიციაზეა. ოდნავ გაიუარესეს რეიტინგი საბერძნეთმა და უკრაინამ. ბალკანელები მე-20, ხოლო სლავები 39-ე საფეხურზე განთავსდნენ, შესაბამისად, ერთი და ორი საფეხურით გამოიკეთეს რეიტინგი ალბანელებმა (86-ე ადგილი) და ყაზახებმა (146-ე ადგილი).

სარეიტინგო ტრადიციას მყარად იცავს ბრაზილია, სამხრეთ ამერიკელები კვლავ ცხრილის სათავეში არიან. მორიგი რეიტინგი ოქტომბერში, შესარჩევი მატჩების დასრულების შემდეგ გამოქვეყნდება.

Coca-Cola WORLD RANKING FIFA

# კიდევ ერთი ქულა

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა კობა ჟორჟიკაშვილის ხელმძღვანელობით ესტონეთში 2005-2006 წლების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ მატჩში ლიტვის ნაკრები 3-1 დაამარცხა და აი გუშინ, მეორე ტურში სლოვენიელ თანატოლებთან ქულის მოპოვება შეძლო. მატჩი ფრედ 1-1 დასრულდა. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს ჯგუფიდან გასასვლელად, მასპინძლებთან მესამე ტურის ხვალინდელ შეხვედრაში ერთი ქულაც ჰყოფნის.

UEFA UNDER-19 Championship

„ქართული ფეხბურთის“ რედაქტორი
მიხეილ საბახტარიშვილი

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## „ბარსელონას“ კლასი და „სამეფო კლუბის“ კრახი

ევროპის ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში ყველასათვის მოულოდნელად მადრიდის „რეალმა“, რომელიც წლევანდელ სეზონში ფავორიტად ითვლება, **F ჯგუფში** გამანადგურებელი მარცხი იწვნია სტუმრად ფრანგულ „ლიონთან“ — 0-3. „სამეფო კლუბისათვის“ კოშმარი პირველი ტაიმი იყო. 21-ე წუთზე „ლიონი“ კარეუს მიერ გატანილი ბურთით დაწინაურდა. ხუთ წუთში ჟუნინიომ გამოიჩინა თავი. გავიდა კიდევ 5 წუთი და ახლა ვიტორმა აიძულა ლუშემბურგოს შეგირდები, ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. ტაიმის მიწურულს ჟუნინიოს კიდევ ერთი ბურთის გატანა შეეძლო, მაგრამ ვერ გამოიყენა მადრიდელთა კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი. ამ მარცხის შემდეგ, ცხადია, მთავარი მწვრთნელის ვანდერლეი ლუშემბურგოს ბედი, რომ იტ-



ყვიან, ბეწვზე დაიკიდა.

ქართველ გულშემატკივართა განსაკუთრებულ ინტერესს **E ჯგუფის** ორი შეხვედრა იწვევდა: „მილანმა“, რომლის შემადგენლობაში თამაშობდა კახი კალაძე, საკუთარ მოედანზე უმასპინძლა თურქულ „ფენერბახჩეს“. მასპინძლები კაკას გოლით დაწინაურდნენ. 63-ე წუთზე ალექსმა თერთმეტმეტრიანით წონასწორობა აღადგინა, ამის მიუხედავად კარლო ანჩელოტის გუნდმა მაინც მოახერხა პირველი სამი ქულის აღება: 87-ე წუთზე ისევ კაკამ გამოიჩინა თავი, ხოლო ორი წუთის შემდეგ შევჩენკომ მესამე გოლი გაიტანა თურქების კარში 3-1. ქართველმა მცველმა 90 წუთი დაჰყო მოედანზე ისევე, როგორც ლევან კობიაშვილმა „შალკეს“ შემადგენლობაში პსვ „ეინდჰოვენთან“ გასვლით შეხვედრაში. ეს თამაში მეტად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. „ეინდჰოვენმა“ იმარჯვა 1-0. ეს ერთადერთი ბურთი პირველ ტაიმში ჰესელინკმა გაიტანა.გამარჯვებით დაიწყო ჯგუფური ეტაპი ლიგის შარშანდელმა გამარჯვებულმა „ლივერპულმა“, რომელმაც სტუმრად 2-1 სძლია ესპანურ „ბეტისს“. სტუმრები უკვე მეორე წუთსვე დაწინაურდნენ პონგოლეს მიერ გატანილი ბურთის წყალობით. მე-14 წუთზე გარსია, მეორედ აიღო მასპინძელთა კარი. დარჩენილ ტაიმნახევარში მასპინძლებმა მხოლოდ ერთი საპასუხო ბურთის გატანა მოახერხეს. ამავე **G ჯგუფში** რომან აბრამოვიჩის „ჩელსიმ“ ლემპარდის გატანილი ბურთით 1-0 დაამარცხა ბელგიური „ანდერლეხტი“. **H ჯგუფში** მილანის „ინტერმა“ სტუმრად 1-0 სძლია „არტმედიას“. დრამატული გამოდგა შეხვედრა „რეინჯერსსა“ და „პორტუს“ შორის. მასპინძლები ორჯერ დაწინაურდნენ, მაგრამ ორჯერვე პორტუგალიელებმა წონასწორობა აღადგინეს. საბოლოოდ კირიაკოსის მიერ გატანილმა მესამე ბურთმა გამარჯვება მოუტანა „რეინჯერსს“.



ოთხშაბათს გამართული შეხვედრებიდან ყველაზე საინტერესო იყო ბრემენში, „ვერდერისა“ და ესპანეთის ჩემპიონის „ბარსელონას“ დაპირისპირება. სტუმრებმა ალმავლობით ითამაშეს და გაიმარჯვეს 2-0. ანგარიში მეცამეტე წუთზე დეკუმ გახსნა. პირველი ნახევრის მიწურულს გერმანელები გააქტიურდნენ. რამდენჯერმე მიეცათ ანგარიშის გათანაბრების რეალური შანსი. მაგრამ ვერ გამოიყენეს. ერთხელ „ვერდერის“ ფეხბურთელებმა ძელსაც მოახვედრეს ბურთი. მეორე ნახევრის განმავლობაშიც უშედეგოდ ცდილობდნენ მასპინძლები სიტუაციის გამოსწორებას, მაგრამ... 76-ე წუთზე მათ საკუთარ საჯარიმო მოედანზე დაარღვიეს თამაშის წესი და მსაჯმა თერთმეტმეტრიანის ნიშნულისაკენ მიუთითა. რონალდინიომ ზუსტად დაარტყა და „ვერდერს“ ქულის გადარჩენის იმედი გადაუწურა — საბოლოოდ ესპანეთის ჩემპიონმა 2-0 იმარჯვა. ამავე **C ჯგუფის** კიდევ ერთ შეხვედრაში — „უდინეზემ“ საკუთარ მოედანზე 3-0 გაანადგურა „პანათინაიკოსი“.

**A ჯგუფში** ფავორიტებმა იმარჯვეს — მიუნხენის „ბაიერნმა“ სტუმრად გერეროს ერთადერთი გატანილი ბურთის წყალობით 1-0 მოუგო ვენის „რაპიდს“, ხოლო ტურინის „იუვენტუსმა“ ასევე სტუმრად 2-1 სძლია ბელგიურ „ბრიუგეს“.

**B ჯგუფში** ლონდონის „არსენალმა“ საკუთარ მოედანზე დიდი გაჭირვებით სძლია შვეიცარიულ „თუნს“ — 2-1. გატანილი ბურთების გარეშე განვლილი პირველი ტაიმის ბოლო წუთზე არსენ ვენგერის გუნდი 10 კაცის შემადგენლობით დარჩა მოედანზე — მსაჯმა ვან პერსი გააძევა. მეორე ნახევრის დაწყებიდან 6 წუთი იყო გასული, როცა ჟილბერტუ სილვამ ანგარიში გახსნა. მაგრამ ორ წუთში ფერეირამ წონასწორობა აღადგინა. შეხვედრის უკანასკნელ წუთზე დენის ბერხკამპმა გამარჯვება მოუტანა „არსენალს“.

ფრედ — 1-1 დასრულდა შეხვედრა პრაღაში, ადგილობრივ „სპარტასა“ და ჰოლანდიურ „აიაქსს“ შორის.

**D ჯგუფში** ლისაბონის „ბენფიკამ“ საკუთარ მოედანზე მინიმალური ანგარიშით 1-0 სძლია ფრანგულ „ლილის“. ეს ერთადერთი ბურთი ბოლო წუთზე მიკოლიმ გაიტანა. ბურთი არ გასულა „ვილიარეალისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეხვედრაში — 0-0.

**ტექნიკური შედეგები:**

**A ჯგუფი:**

**რაპიდო – ბაიერნი 0-1**

**გოლი:** 0-1 გერერო (60)

**ბრიუგე – იუვენტუსი 1-2**

**გოლები:** 0-1 ნედვედი (60), 0-2 ტრეზეგე (75), 1-2 მატონდო (85).

**„იუვენტუსი“:** აბიატი, ვიეირა, რ. კოვაჩი, ემერსონი, იბრაჰიმოვიჩი, ნედვედი, კამორანეზი (ჯანიკედა, 88), ტრეზეგე (სალაიეტა, 89), ძამბროტა, ბლაზი, კანავარო.

**B ჯგუფი**

**არსენალი – თუნი 2-1**

**გოლები:** 1-0 ჟილბერტო სილვა (51), 1-1 ფერეირა (53), 2-1 ბერხკამპი (90)

**„არსენალი“**, ალმუნია, ე. კოული, პირესი, იუნგბერგი (ა. გლები, 81), რეიესი (ოვუსუ-აბაუ, 81), ვან პერსი, ლორენი, ფაბრეგასი (ბერხკამპი, 73), ჟილბერტო სილვა, კემპბელი, ტურე.

**სპარტა – აიაქსი 1-1**



**გოლები:** 1-0 მატუშოვიჩი (66), სნეიდერი (90).

**C ჯგუფი**

**უდინეზე – პანათინაიკოსი 3-0**

**გოლები:** 1-0, 2-0, 3-0 იაკინტა (28, 73, 75).

**ვერდერი – ბარსელონა 0-2**

**გოლები:** 0-1 დეკუ (13), 0-2 რონალდინიო (76, პენ).

**„ვერდერი“**. რაინკე, პასანენი, ნალდო, ბაუმანი (დ. იენსენი, 63), ვალდესი (ჰენტი, 83), მიკუ, ოვომოელა, კლასნიჩი, ფრინგსი, ბოროვსკი, შულცი,

**„ბარსელონა“:** ვალდესი, ბელეტი (ედმილსონი, 46), მარკესი, პუიოლი, ხავი (ვან ბომელი, 79), ჟიული (მესი, 66), ეტო'ო, რონალდინიო, ვან ბრონკჰორსტი, დეკუ, ოლეგერი.

**D ჯგუფი**

**ვილიარეალი – მანჩესტერ იუნაიტედი 0-0**

**„მანჩესტერ იუნაიტედი“:** ვან დერ საარი, ჰაინცე (რიჩარდსონი, 32), ფერდინანდი, რონალდო (გიგზი, 78), რუნი, ვან ნისტელროი (პაკი, 78), სმიტი, სქოულზი, ოში, ფლეტჩერი, სილვესტრი.

**ბენფიკა – ლილი 1-0**

**გოლი:** 1-0 მიკოლი (90).

**E ჯგუფი**

**მილანი – ფენერბახჩე 3-1**

**გოლები:** 1-0 კაკა (18), 1-1 ალექსი (63-პენ), 2-1 კაკა (87), 3-1 შევჩენკო (89).

**მილანი:** დიდა, კაფუ, მალდინი, ნესტა, კალაძე, ამბროზინი, გატუზო (71. სერჟინიო), პირლო (71. ფოგელი), კაკა შევჩენკო, ვიერი (78. ჯილარდინო).

**ეინდჰოვენი – შალკე 1-0**

**გოლი:** 1-0 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (34).

**შალკე:** როსტი, ბორდონი, რაფინია, კობიაშვილი, კრსტაიჩი, ჰამით ალთინთოფი (87). ბაირამოვიჩი, ერნსტი (79. ვარელა), ლინკოლნი, პოულსენი, კურანი, სანდი (72. ლარსენი).

**F ჯგუფი**

**ლიონი – რეალი 3-0**

**გოლები:** 1-0 კარეუ (21), 2-0 ჟუნინიო (26), 3-0 ვილტორი (31). 42-ე წუთზე ჟუნინიომ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე).

**რეალი:** კასილიასი, მიჩელ სალგადო, ელგერა, სერხიო რამოსი, რობერტო კარლოსი, ბექჰემი, გრავესენი (61. გუტი). ჟულიო ბაპტისტა, პაბლო გარსია, რაული, რობინიო.

**ოლიმპიაკოსი – რუსენბორგი 1-3**

**გოლები:** 1-0 ლაგო (19 — საკ. კარში), 1-1 სკიელბრედი (42), 1-2 მავროგენიდისი (48 — საკ. კარში), 1-3 სტორფლორი (90).

**G ჯგუფი**

**ჩელსი – ანდერლეხტი 1-0**

**გოლები:** 1-0 ლემპარდი (19).

**ჩელსი:** ჩეხი, მაკელელე, ესიენი (90 ჰუთი), კარეალიო, ლემპარდი, დაფი (77. ჯო კოული), გალასი, დროგბა, რობენი, (67. რაიტ ფილიპსი), ფერეირა, ტერი.

**ბეტისი – ლივერპული 1-2**

**გოლები:** 0-1 სინამა პონგოლე (2), 0-2 ლუის გარსია (14), 1-2 არსუ (51).

**ლივერპული:** რეინა, კარაგერი, ჰიიპია, ხოსემი, ტრაორე, ჩაბი ალონსო, ლუის გარსია, სისოკო, ზენდენი (66. რიისე), კროუჩი (59. ჯიბრილ სისე), სინამა პონგოლე (74. ჯერარდი).

**H ჯგუფი**

**არტმედია – ინტერი 0-1**

**გოლი:** 0-1 კრუსი (17).

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, კორდობა, სტანკოვიჩი, კრისტიანო ძანეტი, ფიგუ (80 მარტინსი), კრუსი (65. პისარო), ადრიანო, ვერონი, მატერაცი, სამუელი, ვომე.

**რეინჯერსი – პორტუ 3-2**

**გოლები:** 1-0 ლოვენკრანდსი (35), 1-1 პეპე (47), 2-1 პრშო (59), 2-2 პეპე (72), 3:2 კირიაკოსი (85).

## ვანდერლეი ლუშემბურგო: „სიმშვიდე უნდა შევინარჩუნოთ“

**„ლიონთან“ დამარცხების შემდეგ მადრიდის „რეალის“ მთავარმა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუშემბურგომ ინტერვიუ მისცა „სოკერს“. დღეს სწორედ ამ ინტერვიუს გთავაზობთ.**

◆ ***შარშან, ჩემპიონთა ლიგის გათამაშების პირველსავე მატჩში „ლევერკუზენთან“ დამარცხდით – 0-3, წელს ასეთივე ანგარიშით – „ლიონთან“...***

— არ მოველოდით „ლიონთან“ მარცხს, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ ვიცოდით, ძალიან ძლიერ მეტოქესთან გვქონდა საქმე. უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ვაკონტროლებდით თამაშს, ბურთები კი ვერ გავიტანეთ. დავმარცხდით, მაგრამ სიმშვიდე უნდა შევინარჩუნოთ. სეზონი ახლახან დაიწყო. სჯობს ახლა წავაგოთ, ვიდრე მოგვიანებით, როცა ამის უფლება აღარ გვექნება. რაც შეეხება „ლიონს“, მათ სამი შანსი მიეცათ და სამივე გამოიყენეს. შესანიშნავი გუნდია, განსაკუთრებით ჟუნინიო მომეწონა.

◆ ***ხომ არ ფიქრობთ, რომ „ლიონს“ გაუმართლა, თქვენ კი დამარცხებას არ იმსახურებდით?***

— ვერ ვიტყვი ამას. „ლიონი“ ეფექტურად თამაშობდა, ამ გუნდის ფეხბურთელები ძალზე მონდომებულები იყვნენ.

◆ ***უკვე ზედიზედ მეორე შეხვედრა წააგეთ.***



— ვწუხვარ, რადგან „რეალი“ შესანიშნავად თამაშობდა „სელტასთან“. ამ თამაშმა დაგვანახვა, რომ გარკვეული სამუშაო გვაქვს ჩასატარებელი.

◆ ***„ლიონთან“ ზიდანსა და რონალდოს რომ ეთამაშათ, შედეგი სხვა იქნებოდა?***

— რონალდო მეტოქეთათვის თავის ატკიებას ნიშნავს. ნებისმიერი გუნდის მოთამაშეები ჩვენთან შეხვედრების დროს რონალდოს ნეიტრალიზებაზე ფიქრობენ. „ლიონს“ კი ასეთი ფიქრი სრულებითაც არ სტანჯავდა, რადგან მოედანზე რონალდო არ იყო. რა თქმა უნდა, ბრაზილიელს და ზიდანს რომ ეთამაშათ, შეხვედრის შედეგი ასეთი არ იქნებოდა.

◆ ***რობინიოზე რას იტყვით?***

ის კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ გუნდს ვერაფრით უშველა.

## იკერ კასილიასი: „ანგარიში არ ასახავს თამაშის მსვლელობას“

კომენტარი გააკეთა მადრიდის „რეალის“ გოლკიპერმა იკერ კასილიასმა: „ასეთ დამარცხებას ნამდვილად არ ველოდით, საგოლე მომენტები გვქონდა, მაგრამ მეტოქის კარში ბურთი არ შედიოდა. საწყენია, რომ ჩემპიონთა ლიგის პირველივე მატჩი წავაგეთ. არადა, ეს ტურნირი ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ჩვენ გამარჯვებები გვჭირდება, რადგან დიდი ხანია არაფერი მოგვიგია“.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ რაში მდგომარეობდა „სამეფო კლუბის“ პრობლემები „ლიონთან“ შეხვედრაში, კასილიასმა უპასუხა: „ორი გოლი საჯარიმო დარტყმით გაგვიტანეს. აქედან გამომდინარე, ყურადღებით უნდა ვიყოთ სტანდარტული მდგომარეობების დროს, ვფიქრობ პირველი ტაიმის დროს ანგარიში 3-0 „ლიონის“ სასარგებლოდ არ ასახავს თამაშის მსვლელობას. დავმარცხდით, მაგრამ პანიკაში არ უნდა ჩავვარდეთ. ახლა უნდა მოვახდინოთ ძალების კონცენტრირება მომავალი თამაშისათვის — კვირას პრიმერადივიზიონის მე-3 ტურში „ესპანიოლს“ ვეთამაშებით.“

## შოთა არველაძე: „მე დავიბადე საბჭოთა კავშირში“

**გუშინ უეფას თასის გათამაშებას შეხვედრაში რუსეთის საფეხბურთო კლუბმა „კრილია სოვეტოვმა“ უმასპინძლა ჰოლანდიურ „ალკმაარს“, რომლის შემადგენლობაში თამაშობს ქართველი თავდამსხმელი შოთა არველაძე. თამაშის წინა დღეს შოთამ ჟურნალისტთა კითხვებს უპასუხა.**



**„მე დავიბადე საბჭოთა კავშირში. ყოველთვის, როცა სტუმრად ჩავდივარ რუსეთში ან უკრაინაში, ადგილობრივი გულშემატკივრები დიდი ინტერესით მხვდებიან. ისიც ვიცი, რომ ბევრიც გულშემმატკივრობს სტადიონებზე. ჩემი აზრით „კრილია სოვეტოვი“ ურიგო გუნდი არ არის, აქ მე შევხვდი ჩემს ძველ მეგობარს ომარ თეთრაძეს. რაც შეეხება თავად შეხვედრას, დარწმუნებული ვარ ჩემი გუნდი შემდეგ ეტაპზე გავა“.**

### ნახევრად ხუმრობით...

## ახლა კარეტაც რომ მოინდომოს?

შვედეთის გუნდ „მალმეს“ ხელმძღვანელობა მცველ ჯოზეფ ელანგას ქალაქის ცენტრში ბინას შეჰპირდა, მაგრამ ამის შესრულება გაჭიანურდა. ქალაქის გარეუბანში დაბინავებულ კამერუნელ ელანგას გუნდის ბაზამდე ავტობუსით უხდებოდა მისვლა, რადგან არც საკუთარი ავტომობილი გააჩნდა მართვის უფლების არქონის გამო. შეპირება რომ არ შეუსრულეს, ლეგიონერი გაიფიცა. დასასრულ, ელანგასა და „მალმეს“ ხელმძღვანელობას შორის კონფლიქტი მოგვარდა — კამერუნელს სოლიდური მანქანა გამოუყვეს მძღოლთან ერთად. ახლა კი ბინის შერჩევითაც არის დაკავებული „მალმეს“ სპორტული დირექტორი... ადგილობრივი გაზეთების ცნობით ელანგას მალე ყველა პირობას ბოლომდე შეუსრულებენ. „საინტერსოა, რას მოიმოქმედებს „მალმეს“ ხელმძღვანელობა, ლეგიონერმა კარეტაც რომ მოინდომოს“, — სვამს კითხვას ერთ-ერთი სპორტული გამოცემა.

## სისესათვის განკუთვნილი თუთიყუშები მოიპარეს

ინგლისის საფეხბურთო კლუბ „ლივერპულის“ თავდამსხმელმა ჯიბრილ სისემ ამას წინათ ახალი ბინა შეიძინა ფრიდსჰემ ჩეშირეში. გადაწყვიტა, ბინის ერთი კუთხე ფრინველებისათვის დაეთმო. მან მალაზია „ლაინ სტარ ტროპიკალში“ შეუკვეთა ორი აფრიკული თუთიყუში. თითოეული მათგანის ღირებულება 1000 ევრო იყო. ფრინველები დაუდგენელმა პირებმა მოპარეს მანამ, ვიდრე მათ ფეხბურთელი მიიღებდა. ამაზე მალაზიის მენეჯერი ანი კრეივენი ძლიერ შეწუხდა: „სამწუხაროა, რომ სისემ თავისი კუთვნილი თუთიყუშები ვერ მიიღო. ქურდობა ადრეც ყოფილა, მაგრამ როგორც ჩანს, ამ საქმეს პროფესიონალი ქურდები აკეთებენ“.

## გამარჯვებული 40-მა თერთმეტმეტრიანმა გამოავლინა

საინტერესო რამ მოხდა ინგლისის თასის გათამაშების განმეორებით შეხვედრაში „თემბრიჯსა“ და „ლითლჰემტონს“ შორის. ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ დასრულდა (2-2). დაინიშნა თერთმეტმეტრიანების სერია. ფეხბურთელებს სულ 40 თერთმეტმეტრიანის შესრულება მოუხდათ. დასასრულ, „თემბრიჯმა“ იმარჯვა 16-15. საინტერესოა, რომ ეს მსოფლიო რეკორდი არ არის. ნამიბიის თასზე „პელესისა“ და „სილიკსის“ ფეხბურთელებს 56 თერთმეტმეტრიანის შესრულება მოუწიათ. დაასრულ, „პელესმა“ 17-16 იმარჯვა.

# ნბა

## ტონი პარკერი მაინც ითამაშებს!



საფრანგეთის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრების გამთამაშებელი ტონი პარკერი დარწმუნებულია, რომ ფეხის ტრავმა მას არ შეუშლის ხელს ითამაშოს ევროპის ჩემპიონატზე. მას მონაწილეობა არ მიუღია იტალიელებთან შეხვედრაში, ვინაიდან ექიმებმა გარისკვა არ ურჩიეს. შეგახსენებთ, რომ პარკერმა ტრავმა თურქეთის ნაკრებთან თამაშის დროს მიიღო გასულ კვირას.

## დღეს ევროპის ჩემპიონატი იწყება

**სერბიასა და ჩერნოგორიაში დღეს იწყება კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი. გუნდები ჯგუფებში შემდეგნაირად არიან განაწილებულნი:**

**„ა“ ჯგუფი:** იტალია, გერმანია, რუსეთი, უკრაინა.
**„ბ“ ჯგუფი:** ხორვატია, ბულგარეთი, თურქეთი, ლიტვა
**„ც“ ჯგუფი:** საფრანგეთი, საბერძნეთი, სლოვენია, ბოსნია
**„დ“ ჯგუფი:** ლატვია, ისრაელი, სერბია-ჩერნოგორია, ესპანეთი

**გაგაცნობთ ჯგუფური ეტაპების თამაშების განრიგს:**

**16 სექტემბერი:** სლოვენია — ბოსნია, ლატვია — ისრაელი, იტალია — გერმანია, ხორვატია — ბულგარეთი, საფრანგეთი — საბერძნეთი, სერბეთი — ესპანეთი, რუსეთი — უკრაინა, თურქეთი — ლიტვა.



**17 სექტემბერი:** ბოსნია — საფრანგეთი, ესპანეთი — ლატვია, იტალია — რუსეთი, ლიტვა — ხორვატია, საბერძნეთი — სლოვენია. ისრაელი — სერბეთი, უკრაინა — გერმანია, ბულგარეთი — თურქეთი.

**18 სექტემბერი:** სლოვენია — საფრანგეთი, ესპანეთიი— ისრაელი, იტალია — უკრაინა, ლიტვა — ბულგარეთი, საბერძნეთი — ბოსნია, ლატვია — სერბეთი, რუსეთი — გერმანია, ხორვატია — თურქეთი.

## ბაუერმანმა შემადგენლობა დაასახელა

**გერმანიის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დირკ ბაუერმანმა დაასახელა შემადგენლობა, რომლითაც მისი გუნდი ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს.**

ნოვიცკი („დალასი, ნბა), დემირელი („ბეშიქთაში“, თურქეთი), არიგბაბუ, გრინი (ორივე — „ალბა“, გერმანია), გარეტი („ნავიგო ტერამო“, იტალია), მარასი („სევილია“, ესპანეთი), პეშიჩი („ენერგია“, გერმანია), როლერი („სკაილაინერი“, გერმანია), შულცი („არმანი“, იტალია), ვიუშერერი („ოსტენდე“, ბელგია), ფემერლინგი („პანათინაიკოსი“, საბერძნეთი), ნიკაგბატცი („ვიქინ კანტუ“, იტალია).

## ელენა ისინბაევა: „აბრამოვიჩს ფული არ მოუცია“

**როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გაუწყეთ, ჭოკით ხტომაში მსოფლიო რეკორდსმენი ელენა ისინბაევა 2005 წლის საუკეთესო მძლეოსნად აღიარეს. გთავაზობთ ისინბაევას მიერ ინტერნეტის საიტ „გაზეტა-რუ“-სათვის მიცემულ ინტერვიუს.**

◆ ***ელენა, თქვენზე ბოლო დროს ძალიან ბევრს წერენ...***

— ნორმალურად აღვიქვამ, მაშინაც კი, როცა ზოგიერთი ჟურნალისტი ჩემთვის რაღაც არასასიამოვნოს წერს, — რამდენჯერმე „გამათხოვეს“, — ერთხელ მსახიობს „გამაყოლეს“, ერთხელ ბიზნესმენს და ჟურნალისტსაც კი. ამაზე ხშირად მეცინება. ჯერჯერობით გათხოვებას არ ვაპირებ. ასეც კარგად ვგრძნობ თავს.

◆ ***თქვენ რეკორდების დამყარებას განაგრძობთ. თქვენი აზრით, რა სიმაღლეზე შეიძლება გადახტეს სპორტსმენი ქალი?***

— ვფიქრობ, ქალი 6 მეტრზე მეტ სიმაღლეს ვერ დაძლევს.

◆ ***სპორტში არიან ვარსკვლავები, რომლებიც ყველაფერს იგებენ. არ შეიძლება სიმაღლეზე ხტომაში თქვენს გარდა კიდევ ერთი ვარსკვლავი გამოჩნდეს და კონკურენცია გაგიწიოს?***

— გამორიცხულია. კონკურენტი არსაიდან ჩანს. ის, რა სიმაღლეც დავძლიე, არავის ძალუძს.

◆ ***ამბობენ, სისწრაფე გიყვართ, — მანქანას სწრაფად ატარებთ...***

— დიახ. ამ ცოტა ხნის წინათ, საკუთარი „პეჟოთი“ განვავითარე სიჩქარე — 220 კილომეტრი საათში.



◆ ***ამბობენ, რომ რუსმა ოლიგარქმა რომან აბრამოვიჩმა მილიონი დოლარი გადმოგცათ...***

— არა. ერთი ცენტიც არ მიმიღია აბრამოვიჩისაგან. დაინტერესება არის, მაგრამ კონკრეტულად არაფერი ხდება, — კონტრაქტიც არ გაფორმებულა.

◆ ***მილიონი დოლარი ცოტა არ არის...***

— მართალია, მაგრამ ვიმეორებ, თანხა არ მიმიღია, გაზეთებში კი დაიწერა, რომ თითქოს რომან აბრამოვიჩმა ამ რაოდენობის თანხა უკვე გადმომირიცხა.

◆ ***ეს კითხვა უცნაურად მოგეჩვენებათ. სპორტიდან წასვლის შემდეგ რით დასაქმდებით?***



— (იცინის) სპორტიდან წასვლაზე ჯერ არ ვფიქრობ. ისე, მინდოდა, ფილმის გადაღებებში მონაწილეობა. მიყვარს სიახლეები და ყველაფერი, რაც საინტერესოა, ასე რომ, თუკი ჰოლივუდში მიმიწვევენ, სიამოვნებით გავემგზავრები.

◆ ***მელოდრამა გიზიდავთ?***

— არა. მძაფრსიუჟეტიანი ფილმები, ე.წ. „ბოევიკის“ სტილში. მაგალითად, — „ტერმინატორი“.

◆ ***გამოგივათ?***

— რატომაც არა. ვთვლი, რომ სამსახიობო ნიჭიც მაქვს და ფიზიკური მონაცემებიც.

## როდმანს დააპატიმრებენ?

**კოლორადოს შტატის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება „ნბა“-ს ყოფილი მოთამაშის დენის როდმანის დაპატიმრებაზე ორდერის გაცემის შესახებ. ამის მიზეზად სახელდება ის რომ კალათბურთელი ორჯერ არ გამოცხადდა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევასთან დაკავშირებით გამართულ სასამართლო პროცესებზე.**

## ავტომანქანა მოჰპარეს პილოტებს

კაუნასში, ესტონელ პილოტებს, რომლებსაც წრიულ რბოლაში ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების ჩემპიონატზე უნდა ესასპარეზათ, ავტომანქანა მოპარეს. ეს მოხდა ხუთშაბათს, გათენიისას. ავტომანქანა „ჰონდა აკორდი“, ქალაქის გარეუბანში მდებარე ავტოგასამართი სადგურიდან დაუდგენელმა პირებმა მოიპარეს. საინტერესოა, რომ აღნიშნული მანქანა სატვირთო ავტომობილის მისაბმელზე იდგა. ქურდებმა სწორედ მისაბმელი ჩახსნეს. თურმე ამ დროს, პილოტებს სატვირთო ავტომანქანის სალონში ეძინათ. მათ მხოლოდ დილით შეიტყვეს „ჰონდა აკორდის“ გაუჩინარების ამბავი. პილოტების თქმით. ასეთი ტიპის ავტომანქანა მხოლოდ ოთხია ევროპაში. ყველა მათგანი იტალიაშია დამზადებული.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




16 სექტემბერი, პარასკევი

*НТВ*. ბილიარდი (2.15), *НТВ плюс спорт*. „ჰარმონიის ფორმულა“ (10.25), ბურთიანი ჰოკეი (11.25), მაგიდის ჩოგბურთი. „პროტური ჩინეთში“. ფინალები (14.50), ტაილანდური კრივი (17.45) კალათბურთი. ვნბა-ს ჩემპიონატი. ფინალი. მე-2 შეხვედრა (19.00), „ნოკაუტი“ (21.30), „ყველაფერი რაგბის შესახებ“ (22.00), „სპორტული გლობუსი“ (0.30). *НТВ плюс online*. ბურთიანი ჰოკეი (14.55). ბატუტზე ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. რეპორტაჟი ჰოლანდიიდან. (19.55). EUROSPORT. მოტოსპორტი. იაპონიის გრან პრი (8.15), ფეხბურთი. პროგრამა „გოლი“ (11.15), 11.30), ფეხბურთი. უეფას თასი. (11.30), ჩემპიონთა ლიგა (13.00), ველოსპორტი. შეჯიბრება ესპანეთში (17.00), ფეხბურთი. „24 საუკეთესო კლუბი“ (20.30), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონთა ლიგა (21.00), ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (22.00), ექსტრემალური სპორტი (1.00), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. დიდი ბრიტანეთი (1.30) ფეხბურთი. 17-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი (2.00).

17 სექტემბერი, შაბათი.

**საქართველოს ტელევიზია. რუსთავი — 2.** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (18.25), **მზე.** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა (16.00, 18.00), *НТВ*. კრივი. „ნოკაუტების საღამო“ (0.25), *НТВ плюс спорт*. ჰოკეი (10.25), „ნოკაუტი“ (13.45), ამერიკული ფეხბურთი. კვირის მოვლენები (14.15). გოლფი (14.45), ჩოგბურთი. ფედერაციის თასის გათამაშების ფინალი. საფრანგეთი. რუსეთი. პირდაპირი (15.20), სპორტული გლობუსი (20.00), ბატუტზე ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი ჰოლანდიაში (21.00), ახალი ამბები (0.00), ფრენბურთი. ევროპის ჩემპონატი. ქალები. ხორვატია — ესპანეთი (0.15), პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის. მარკო ანტონიო ბარერა — რობი პიდენი. პირდაპირი. (5.00). *НТВ плюс online*. ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. პოლონეთი — აზერბაიჯანი. პირდაპირი (17.25). ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. „ბორდო“ — „ლიონი“. პირდაპირი (19.00. EUROSPORT. მოტოსპორტი. იაპონიის გრან პრის გათამაშება (8.15), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. დიდი ბრიტანეთი (11.15), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (11.45), ჩოგბურთი. ატპ-ს შეჯიბრება იტალიაში (13.00), ფეხბურთი. „24 საუკეთესო კლუბი (15.30), მოტოსპორტი (მსოფლიო ჩემპიონატი. ირლანდია (19.15), ბატუტზე ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი ჰოლანდიაში (20.00, რალი (20.00) ფეხბურთი. 17 წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი (23.00), საბრძოლო ხელოვნება (2.45).

18 სექტემბერი, კვირა

**საქართველოს ტელევიზია. მზე.** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა (19.00), *НТВ плюс спорт*. პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის. მარკო ანტონიო ბარერა — რობი პიდენი (10.30), ამერიკული ფეხბურთი. კვირის მოვლენები (12.30), ჩოგბურთი. ფედერაციის თასის ფინალი. საფრანგეთი — რუსეთი. პირდაპირი (13.20). საჭადრაკო მიმოხილვა (20.45), მხატვრული ტანვარჯიში. საერთაშორისო შეჯიბრება გერმანიაში (21.15), „ყველაფერი რაგბის შესახებ“ (23.15), კალათბურთი. ვნბა-ს ჩემპიონატის ფინალი (0.00), *НТВ плюс online*. მაგიდის ჩოგბურთი. „პროტერი“ ჩინეთში ნახევარფინალები (6.00), ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. „ალკმაარი“ — „აიაქსი“ (19.25), ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17.30, 19.55), EUROSPORT. მოტოსპორტი. იაპონიის გრან პრის გათამაშება (7.00), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. დიდი ბრიტანეთი (11.15), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (11.45), ფეხბურთი. „24 საუკეთესო კლუბი“ (15.30), მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი (19.15), ბატუტზე ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი (20.00) ფეხბურთი. 17-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი (22.00), საბრძოლო ხელოვნება (2.45).

## ტაისონი ჩეჩნეთში

სახელგანთქმული მოკრივე მაიკ ტაისონი აგრძელებს მოგზაურობას რუსეთში. ის ჩეჩნეთს ესტუმრა და დაესწრო მოკრივეთა შეჯიბრებას, რომელიც ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტის ახმად კადიროვის ხსოვნას მიეძღვნა. როგორც „ნტვ“ იუწყება გუდერმესის დარბაზში სრული ანშლაგია მოსალოდნელი. „რკინის მაიკი“ ჩეჩნეთში ამ რესპუბლიკის პირველმა ვიცე-პრემიერმა რამზარ კადიროვმა მიიწვია. რაც შეეხება თვით შეჯიბრებას, ის 20 სექტემბრამდე გასტანს და ასამდე მოკრივე იასპარეზებს.



## რონ ფრენსისი აღარ ითამაშებს

ნჰლ-ის გუნდ „ტორონტოს“ თავდამსხმელმა რონ ფრენსისმა ოფიციალური განცხადება გააკეთა კარიერის დასრულებასთან დაკავშირებით. 42 წლის ჰოკეისტი სხვადასხვა დროს „ჰარტფორდის“, „პიტსბურგის“, „კაროლინასა“ და „ტორონტოს“ ღირსებას იცავდა. სულ ნჰლ-ში 1731 შეხვედრა ჩაატარა და 1731 შაიბა გაიტანა.

## „ჩებურაშკა“ რუსეთის ნაკრებისათვის

**მოსკოვში გაიმართა ზამთრის ოლიმპიური თამაშებისათვის რუსეთის ნაკრების ოლიმპიური კოლექციის პრეზენტაცია.**

**წარმოდგენილი იყო ტანსაცმლის კომპლექტი, რომელიც 39 განყოფილებისაგან შედგება. რუსეთის ოლიმპიური ნაკრების თითოეულ წევრს გადაეცემა ორი თბილი კოსტიუმი, სპორტული კოსტუმები სავარჯიშოდ, ტრიკოტაჟი, ზამთრის ფეხსაცმელები, სხვადასხვა შარფები, ზამთრის ქუდები და ა.შ.**

**რუსეთის ნაკრების თილისმა 2006 წლის ოლიმპიურ თამაშებზე კვლავ „ჩებურაშკა“ იქნება. ეს ზღაპრული გმირი ათენში თუ შავ ფერში იყო წარმოდგენილი. ამჯერად თეთრი იქნება.**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. იგივეა, რაც ყაიმი, 6. ასპარეზობა ავტომობილებით, ველოსიპედებით, ნავებით და ა.შ. 9. ზაფხულის ოლ. თამაშების მასპინძელი ქალაქი 1992 წელს, 10. „კარლ ცაისის“ ყოფილი მწვრთნელი, როცა თბილისის „დინამომ“ მოუგო თასების თასი, 12. ესპანელი ვაჟი ჩოგბურთელი, 16. საკალათბურთო ასოციაცია (შემოკლებით), 18. ცნობილი ქართველი ვეტერანი მოკრივე, 19. ბავშვთა ხელოვნურსაფარიანი საფეხბ. მოედანი ვაკეში, 21. ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძელი 1976 წელს, 22. თბილისის „დინამოს“ და ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი, 24. საბერძნეთის საფეხბ. კლუბი, 25. ვეტერანი რუმინელი ფეხბურთელი, 26. ცურვის ყაიდა, 27. „ევერტონის“ ჩინელი ნახევარმცველი.

**შვეულად:** 1. ლეგენდარული პროფესიონალი მოკრივე, 2. სპორტული პრიზის ნაირსახეობა, 3. ერთნაირი შედეგი, 4. ფეხბურთელ დემეტრაძის შემოკლებითი მეტსახელი, 5. „კიევის“ ფეხბურთელი, 7. ტანვარჯიშული და გრეხილი მსხვილი თოკი, 8. ფრანგი ჩოგბურთელი ქალი, 11. სპორტში ყველაზე მაღალი შედეგი, რაც ახალ მიღწევად ფიქსირდება, 13. „მილანის“ ფეხბურთელი, 14. ლატვიის საფეხბ. კლუბი, 15. ასპინძის ყოფილი საფეხბ. გუნდი, 17. რუსთავის ყოფილი საკალათბურთო გუნდი, 20. „ჩელსის“ ცნობილი ფეხბურთელი, 23. სამაგიდო თამაში.



მოამზადა ნოდარ ჯაჭვაძემ.

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. საპორო, 6. ფაი, 8. არიფი, 11. „ფულჰემი“, 13. კორტი, 14. „ალავესი“, 19. „შხარა“, 21. ბრემენი, 22. აფრა, 24. ხელბურთი, 25. „მილანი“, 26. „ბრონდბიუ“, 27. ანტიჩი, 29. იტო, 30. კორია, 31. „სიონი“, 32. „მაინცი“.

**შვეულად:** 2. ანრი, 3. ონი, 4. „ოფი“, 5. ფლო, 7. „არაუ“, 8. ახვლედიანი, 9. ფეი, 10. აკვრა, 12. მელბურნი, 15. სტეფანია, 16. კანადა, 17. შახლინი, 19. შამონი, 20. ათლი, 23. ფაბიო, 28. ჩუი.

### საჭადრაკო ამოცანა

 შ. ლაბურდონე
(1840 წელი)



შამათი 7 სვლაში

№71-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1. ლe1! deლ! 2. ეd4 გარდაუვალია 3. ეa4+ კ:a4 4. b4 ლ:b4 5. abX

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 98-23-94, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport2005@yahoo.com